საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 16 იანვარი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნახაზ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 11 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მარიამი, მამა ლაზარე, ძმა მირონი, რძლით და დებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

საშა ლაზარეს ძე ტაგლიაშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე საკუთარ ბინაზე (თელავის შესახვევი № 5) 5 საათიდან 6 საათამდე. დაკრძალვა, შაბათს, 17 იანვარს. პეტრე-პავლის ეკლესიის გალავანში. (175—4—2)

სამშაბათს, 13 იანვარს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. სურამში გარდაიცვალა შავი ქვის მრეწველი

ილარიონ დავითის ძე ბერიძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ განსვენებულის დედა მართა, დები: ელისაბედ და მატრონე და ძმები: სოლომონ, გერასიმე, არისტო, გიორგი, პარმენ, არტემ და ივანე. დაკრძალვა ქ. ხონში შაბათს, 17 იანვარს. (190 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: ვლადიმერ და ვალიკო, პაპაშვილი თეოფანე, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას

ვიქტორ კოსტანტინეს ძე ბუჯაბიძის

გარდაცვალებას, რომელიც დასაფლავებულ იქნა ქ. ბათუმში. (194 1—1)

უზომოთ დამწუხრებული ცოლი ქეთია; ბიცოლები: მაშო და პელაგია, ბიძები: დარისპან, კოსტა და პორფირი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ჩვენთვის დაუვიწყარ

სევერიანე ბეგლარის ძე ჯიშკარიანის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება შაბათს 17 იანვარს (ძვ. სტ.) გამოსვენება დილის ათ საათზე ბინიდან, ოლღის ქუჩა, № 88-ში დასაფლავება საბურთალოზე წმ. გიორგის ეკლესიაში. (195 1—1)

მწუხარებით გულდათუთქულნი: დედა სტეფო, მეუღლე ოტანა და შვილები: კოწია, გოგი, ნინუცა და შალიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

სიმონ გიორგის ძე ორჯონიკიძე

ცხედარი განსვენებული იქნება ქ. ზესტაფონიდან ს. ლახუნდარაში, დღეს 16 იანვარს. დაკრძალვა მოხდება ადგილობრივ. (197 1—1)

ნიკოლოზ დიმიტრის ძე გამცემლიძე და მეუღლე მისი ცაბარტა დავით მაჭავარიანის ასული გამცემლიძისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უსაყვარლესი ბიძის

სიმონ გიორგის ძე ორჯონიკიძის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება ქ. ზესტაფონიდან სოფ. ლახუნდარაში დღეს 16 იანვარს. (197 1—1)

გაზ. „ერთობის“ რედაქცია და კანტორა
გადავიდა ახალ ბინაზე

კრუზენშტერნის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩ. № 18-თან. (უფ.)

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის

სამაზრო კომიტეტი

17 იანვარს იწვევს მაზრის ორგანიზაციათა

კოლექტივების პარტიულ ყრილობას

დღიური წესრიგი: 1) მოხსენება სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) მიმდინარე მომენტი, 4 ორგანიზაციული მუშაობა, 5) სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება, 6) კომიტეტის არჩევა. ყრილობა გაიხსნება დილის 12 საათზე სამაზრო ერობის ბინაზე, რუსთაველის პროსპ. № 6. კომიტეტის პრეზიდიუმი. (145 5—5)

დრამატიული საზოგადოების სარევიზიო კომისია

აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ ორშაბათს, 19 იანვარს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველი საგნებია: 1) მიღება ახალ წევრებისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3) არჩევნები ახალი გამგეობისა, 4) მიმდინარე საკითხები. კრება შედგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. (171—5—3)

არტისტიული თეატრი

პარასკევს, 16 იანვარს 1920 წ. ქართ. მსახიობთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შილერის ტრაგედია

ყაჩაღები

5 მოქ. და 8 სურათად. მონაწილეობენ—ქ-ნი: ქილარჯიშვილი მ; ბ-ნნი: დადიანი შ., ზანშიაშვილი ა., გოცირიძე ნ., ჟუჟუნაძე ი., კობახიძე ი., აბდუშელი დ., სარაული მ., მინდიაშვილი ი., ანაშვილი გ., მეტრეველი ა., თავდგირიძე ა., მამაჯანოვი ბ. და სხვ. რეჟ. შ. დადიანი.
დასაწყისი საღ. 7 ნახ. საათზე. (200 1—1)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.)

იყიდება
„ბუდკა“ თავის მოწყობილობით, მუშტაიდის შესახვევი № 11 იკითხეთ იქვე ელისაბედის ქუჩა № 202. (170—4—3)

ექიმი ხარიტონ ამბროსის ძე
ცეხანოვსკი
საპიორნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.
ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისით ავადმყოფებს (606—914)
მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს. (თ.—8423)

დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდომა

14 იანვარს მოხდა დამფუძნებელ კრების არა ჩვეულებრივი სხდომა, გამოწვეული არა-ჩვეულებრივ გარემოებით—ძლიერ სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობით. სხდომა ჭეშმარიტათ საზეიმო იყო. საქართველოს მცხოვრებთა ნებისყოფის უზენაესი გამომხატველის—დამფუძნებელ კრების—ფიქრი, აზრი და გრძნობა გაიერთიანა იმ საშვილიშვილო გამარჯვებამ, რომელსაც ჩვენმა რესპუბლიკამ მიაღწია. დამფუძნებელ კრებაში ამ სხდომის დროს, ამ ისტორიულ აქტის დაფასების დროს, აღარ იყო ფრაქციების, აღარ იყო სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობანი და მისწრაფებანი. საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობით გამოწვეულმა სიხარულმა ყველანი გააერთიანა. პოლიტიკურ ცხოვრების ყველა ნაკადები შეერთდა ერთ დიდ მდინარეში.

სიტყვა, წარმოთქმული მთავრობის თავმჯდომარის—ნოე ჟორდანიას მიერ, იყო ჭეშმარიტათ სახელმწიფოს მეთაურის სიტყვა, გამომხატველი მთელი ჩვენი სახელმწიფოს გულზე ნადების. მთავრობის თავმჯდომარე წარმოსდგა როგორც ჭეშმარიტი მესაიდუმლე რესპუბლიკის ყველა მცხოვრებთა. იმ დაფასებამ, რომელიც მან მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას, ცოცხალი გამოხმაურება ჰპოვა დამფუძნებელ კრების ყველა ფრაქციაში. პრემიერმა თავის სიტყვაში დამფუძნებელ კრებას მისცა ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დასაფუძნებლად რამდენიმე ფორმულა, შესანიშნავი თავის სიღრმით და ფართო ჰორიზონტებით. სხვა ორატორებმა განავითარეს ეს ფორმულები და თავისი შინაარსი შეიტანეს შიგ.

დიდი აზრი, რომელიც მთავრობის თავმჯდომარის სიტყვაში იყო გატარებული, იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა ნაყოფია უმთავრესათ თვით ჩვენი ხალხის, ჩვენი დემოკრატიის მუშაობისა, შედეგია იმ სახელმწიფოებრივ სიმწიფისა, რომელიც გამოიჩინა მან. „დამოუკიდებლობის ცნობა, სთქვა მთავრობის მეთაურმა, არის არა მოწყალება, არამედ ჩვენი უფლება“.

ისტორიული ანალიზი გაუკეთა პრემიერმა ჩვენი სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის ფაქტს. საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა, სთქვა მან, დაასამარა ფეოდალურმა უთანხმოებამ, აღადგინა დემოკრატიულმა თანხმობამ. მეფეების საქართველო მოკვდა ასი წლის წინ. დღეს მკვდრეთით დგება მშრომელ ხალხის საქართველო.

ჩვენი ქვეყანა დასავლეთის და აღმოსავლეთის, ევროპის და აზიის საზღვარზეა მოთავსებული და რამდენიმე საუკუნის ისტორიის განმავლობაში მის წინ დაჟინებით იდგა კითხვა: დასავლეთი თუ აღმოსავლეთი? ევროპა თუ აზია? უკანასკნელ საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ხალხი მთელი თავისი არსებით, მიილტვოდა დასავლეთისკენ, ევროპისაკენ. დღევანდელმა ისტორიულმა მომენტმა ხელმეორეთ დაგვიყენა ისევ ეს საკითხი, მაგრამ დაგვიყენა ისეთი სიმწვავით, როგორითაც ეს საკითხი იქნება არც ერთხელ მდგარა ჩვენს წინ. ბოლშევიკური სტიქიონი მედგრათ შთანთქებს მთელს რუსეთს და მასთან ერთად ყველა იმ ქვეყნებს, რომლებიც რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ, უკან, აღმოსავლეთისკენ. ჩვენი პატარა ერი მედგრათ ეწინააღმდეგება ამ ძალას და მიიწევს წინ, დასავლეთისაკენ. „გვირჩევნიან დასავლეთის იმპერიალიზმი აღმოსავლეთის ფანატიზმს“, ამცნო მთავრობის თავმჯდომარემ მთელს ქვეყანას საქართველოს მცხოვრებთა სახელით.

აშკარად, ჩვენი და რუსეთის გზები დღეს-დღეიობით გაიყარნენ. ეს აზრი სხვადასხვა სახით თითქმის ყველა ფრაქციების ორატორებმა შეითვისეს და განავითარეს. 1918 წლამდე არ ყოფილა არც ერთი პარტია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველად გამოსულიყოს. დღეს კი არ არის არც ერთი გავლენიანი პარტია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყოს“, განაცხადა სოც.-რევოლიუციონერთა წარმომადგენელმა. ოსმალეთმა მეთხუთმეტე საუკუნიდან გადაკეტა ჩვენს ქვეყანას ისტორიული გზა ევროპისაკენ, ჩვენ რუსეთისაკენ გადავიხედეთ. დღეს დაიმსხვრა ის ძალა, რომელმაც ჩვენ ევროპას მოგვაშორა, და ჩვენ ისევ ევროპისაკენ გავეშურეთ, სთქვა ნაც.-დემოკრატების წარმომადგენელმა.

ასეთია საქართველოს ყველა მცხოვრებთა ზრახვანი, გამოთქმული მის ნებისყოფის უზენაეს გამომხატველის დამფუძნებელ კრების მიერ.

14 იანვრის სხდომაზე კიდევ ერთი რამ სანუკვარი გამოაშკარავდა. იმ სიხარულს, რომელსაც ჩვენი ერი განიცდის საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო, მასთან იზიარებენ ყველა ერები, რომლებიც საქართველოს საზღვრებში ცხოვრობენ: „დაშნაკცუთიუნის“ წარმომადგენლის პირით ეს აღფრთოვანება გამოხატა სომეხმა ხალხმა. რუსულ ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარის ბ. კალიუჟნის მოსალოცი დეპეშა ეჭვს არ სტოვებს, რომ ჩვენი ქვეყნის რუსი მცხოვრებნიც შეეთვისენ ჩვენს რესპუბლიკას და მის ზეიმს იზიარებენ. ჩვენი სიხარული გადასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და მეზობელ სახელმწიფოებსაც მოედო: ჩვენის სიხარულით ხარობს სომხეთიც, მიუხედავად იმისა, რომ მისი დამოუკიდებლობის ცნობა ჯერ-ჯერობით არ მოხერხდა. საქართველოს და აზერბეიჯანის გამარჯვებამ მთელს ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა შორის ერთბაშად აღფრთოვანა ძმური სიყვარულის და სოლიდარობის გრძნობა: ყველამ იგრძნო, რომ მეზობელ ერის გამარჯვება ეს არის გამარჯვება ყველა ერების.

14 იანვრის სხდომა იყო ჭეშმარიტი მანიფესტაცია მთელი ჩვენი ერის აზრით და გრძნობით გაერთიანებისა, საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ ერების ერთნაირ მოქალაქეობრივ შეგნებით გამსჭვალვისა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ინტერნაციონალურ სოლიდარობისა.

განაპირა სახელმწიფოები.

გუშინდელ გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა ლონდონიდან, თითქოს პოლონეთს განეზრახოს განაპირა სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევა (სხვათა შორის საქართველოსაც) იმ აზრით, რომ შეიქმნას მთლიანი კავშირი სამხედრო ხასიათის, საბჭოების მთავრობისაგან თავდაცვის მიზნით. ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ ეს კავშირი თავდაცვითი იქნება. თვით პოლონეთს იმდენი პრეტენზიები აქვს გაფართოების, რომ ის ედავება მეზობელ სახელმწიფოებს ისეთ ნაწილებს, რომელიც მას არც ისტორიულად და არც ეთნოგრაფიულად არ ეკუთვნის. ასეთ შემთხვევაში მისთვის თავდაცვითი ომი დაპყრობითი ხასიათს მიიღებს და ჩვენში ვერავინ გაიგებს, თუ რათ უნდა იბრძოლოს ქართველმა ხალხმა იმისთვის, რომ დვინსკი მაინც და მაინც პოლონეთს დარჩეს. ჩვენ გვახსოვს, როდესაც გეტმანის მთავრობამ მიმართა განაპირა სახელმწიფოების წარმომადგენლებს კიევში ასეთი ხასიათის კავშირის შესაკვრელათ. მაშინ ეს აზრი დაიბადა ბერლინში, ხოლო მისი განხორციელება მიენდო უკრაინაში გეტმანის მთავრობას. თუ ზოგიერთი განაპირა სახელმწიფოების წარმომადგენლები თანხმობით შეხვდნენ გეტმანის მთავრობის წინადადებას, საქართველოს წარმომადგენელმა, მიუთითა რა თავის ქვეყნის ნეიტრალიტეტზე, ეს წინადადება უყურადღებოდ დატოვა. შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის გეტმანს, რომელიც არასდროს არ ყოფილა მომხრე არც თავის ქვეყნის და არც სხვა პატარა ერების თავისუფლების, აინტერესებდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის დამარცხება და მთელ მის ძველ ტერიტორიაზედ რეაქციის გაბატონება. ეს მაშინ აშკარა იყო.

რა აინტერესებს პოლონეთის მთავრობას? თუ მას თავის დაცვა უნდა, ამისათვის საჭიროა მოითხოვოს საბჭოთა რუსეთისგან საომარ მოქმედების შეწყვეტა და საზღვრების საკითხის მოგვარება. თუ საბჭოთა რუსეთი ამაზედ არ დასთანხმდა, მაშინ შესაძლებელი იქნება ლაპარაკი თავდაცვით ომზედ.

რაც შეეხება საქართველოს, მას რუსეთთან საზღვრების შესახებ არავითარი დავა არ ექნება, ასეთივე მდგომარეობაშია აზერბეიჯანიც. ბუნებას თვითონ მიუცია მათთვის აშკარა საზღვარი. ჩვენში არავინ ოცნებობს იმაზედ, რომ ნოვოროსიისკი დაიპყროს და ჩვენს რესპუბლიკას შეუერთოს. არც იმაზედ ფიქრობს ვინმე, რომ მოსკოვში საბჭოთა რუსეთის მთავრობა თავისი შეიარაღებულ ჯარების ჩარევით ჩამოაგდოს. ჩვენ უფრო პატარა საქმეებით ვკმაყოფილდებით.

კავშირი შეიძლება ისეთ სახელმწიფოებთან, რომელთაც ერთი მიზანი აქვთ და საერთაშორისო პოლიტიკაში ერთ ხაზს ატარებენ. ჩვენ არ გვგონია, რომ რუსეთის ყველა განაპირა სახელმწიფოები ასეთი ერთი აზრით იყვნენ გამსჭვალულნი და მაშასადამე ყველა ამ სახელმწიფოების კავშირი, თუნდაც ის განხორციელდეს, ხანგრძლივი არ იქნება და პირველ უბრალო შემთხვევისათანავე დაინგრევა. ბ. იაველაშვილი

დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომა

14 იანვარს მოხდა ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: ინგლისის წარმომადგენელი ოლივერ უორდროპი, საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი, იტალიის წარმომადგენელი—გაბა. წარმომადგენელნი მისიებისა: საბერძნეთის, პოლონეთის, ფინლიანდიის, ლიტვის, უკრაინის, აზერბეიჯანის და სომხეთის. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე ბევრი სტუმრები და დიდძალი გარეშე საზოგადოება.

თავმჯდომარე: სხდომა გახსნილია. როდესაც დამფუძნებელი კრება ორი კვირით სწყვეტდა თავის მუშაობას, სათანადო დადგენილებაში შეტანილ იქნა ერთი მუხლი, რომლის ძალით თქვენს პრეზიდიუმს ევალებოდა, თუ საჭიროდ დაინახავდა, თუ ისეთი მდგომარეობა შეიქმნებოდა, მოეწვია დამფუძნებელი კრების სხდომა. ეს მომენტი, რომელსაც განიცდის ეხლა მთელი ჩვენი ერი, სამშობლო, პრეზიდიუმის აზრით ასეთი მომენტი იყო და არის, რომ არ შეიძლებოდა დამფუძნებელი კრების პლენუმი არ მოეწვია. თუ რა მოხდა, დაწვრილებით ამის შესახებ მთავრობის განცხადებას მოისმენთ, მხოლოდ ეს მცირეოდენი ახსნა განმარტება პრეზიდიუმმა დამავალა მე მომეხსენებინა თქვენთვის, ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ დღეს არის მოწვეული საგანგებო სხდომა დამფ. კრებისა.

სიტყვა ეკუთვნის მთავრ. თავმჯდომარეს.

ნოე ჟორდანიას სიტყვა.

ნოე ჟორდანიას გამოსვლას მთელი დარბაზი ხანგრძლივი ტაშით და ოვაციებით ხვდება. როცა სიჩუმე ჩამოვარდება, ის იწყებს:

მოქალაქენო! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ, მოულოცო საქართველოს ხალხს საერთაშორისო ოჯახში გაშლილი დროშით შესვლა და იქ ევროპის ხალხთა გვერდით საკუთარი ადგილის დაჭერა. ამიერიდან ქართველი ერი მიღებულია დიდი ერების მიერ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მომავალი გზა-კვალი მჭიდროთ, უშუამავლოთ გადაეჯაჭვა დასავლეთს და ამ კავშირის გაწყვეტა არ ძალუძს არავითარ ძალღონეს.

და ეს დიდი ისტორიული მოვლენა მოახდინა ერთმა გარემოებამ—საქართველოს ხალხის ერთსულოვანი გამოსვლამ და ერთი აზრის, ერთი დროშის ქვეშ ერთხმათ თავის მოყრამ.

საქართველო ამ ასი წლის წინეთ დასცა ფეოდალურმა განხეთქილებამ, საქართველო დღეს აღადგინა დემოკრატიის თანხმობამ.

საქართველოს დაცემის დროს არ არსებობდა, როგორც ერთი მთელი, ჭირში და ლხინში განუყრელი; მეფეებმა ვერ შექმნეს ერთი მთლიანი სამშობლო.

საქართველო დღეს — აღდგენის დროს წარმოადგენს ერთ ორგანიულათ შედუღებულ სხეულს, ჭირში და ლხინში განუყრელს; დემოკრატიამ შექმნა ერთი მთლიანი სამშობლო.

საქართველოს დაცემით დაეცა ტახტი, დაეცა ფეოდალთა უფლება.

საქართველოს აღდგენით აღსდგა ხალხი, განმტკიცდა დემოკრატიის უფლება.

ხალხმა დაიბრუნა ის, რაც დაკარგა მეფეებმა—თავისუფლება და შექმნა ხალხის სახელმწიფო, ხალხის წყობილება, ხალხის მმართველობა.

ასეთია ბატონებო, ახალი საქართველო. და ის წარსდგა ევროპის წინაშე მსჯავრის მისაღებათ. წავრსდექით არა მოწყალებისათვის, არამედ უფლებისათვის. (ხანგრძლივი ტაში). და მათ გვკითხეს —რა მოგაქვთ. ჩვენ უპასუხეთ: მოგვაქვს ორი ათასი წლის კულტურა, ბუნებით მდიდარი და მშვენიერი ქვეყანა, მოგვაქვს უძლიერესი დემოკრატიული წყობილება, დემოკრატიული შემოქმედება და მოვითხოვთ შესაფერ ადგილს აზიის ყურეში. ჩვენ არ ვართ სამანდატო, საოპეკუნო ხალხი, ჩვენ ვართ ჩვენი თავის მანდატორი, ჩვენი ოპეკუნი, თავისი თავის ბატონი. (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები) და ეს ჩვენ დავასაბუთეთ არა სიტყვით, არა კეთილი სურვილებით, არამედ საქმით, სახელმწიფოს შეუწყვეტელი შენებით.

და ეს ჩვენი სიტყვა და საქმე პირველ ყოვლისა იწამა ევროპის მუშათა დემოკრატიამ და ლიუცერნში გამოგვაცხადა დამოუკიდებელ საქართველოთ. (ტაში) და აი ეხლა, რამოდენიმე თვის შემდეგ, ეს იწამა მმართველმა კლასებმაც და ის დაადასტურა პარიზის კონფერენციამ. შემიძლია თამამათ ვსთქვა, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ევროპის ხალხთა შორის არ მომხდარა ისეთი შეთანხმება, როგორიც მოხდა საქართველოს შესახებ.

იქ, ლიუცერნში თავი მოიყარა მუშებმა, აქ პარიზში თავი მოიყარა სახელმწიფოებმა, ჩვენს შესახებ

დღეს

ამერიკა მონაწილეობას არ ღებულობს გერმანიის სამხედრო გემების განაწილებაში.

უმაღლესმა საბჭომ უარყო სამხრეთ-სლავიის მთავრობის თხოვნა უნგრეთთან 1868 წელს დადებული ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ.

გერმანული პრესის აზრით საზავო ხელშეკრულება საერთაშორისო გამწვავების საბაბათ შეიქნება.

ფრანგების მიერ დაპყრობილ რეინის ოლქში, „ფორვერტსის" ცნობით, დამოუკიდებელი სოციალისტები საფრანგეთის სასარგებლო აგიტაციას ეწევიან.

ბალშევიკების ცნობით კოლჩაკის დატყვევების შემდეგ ირკუტსკში შესდგა ესერებისა და მენშევიკების მთავრობა.

ერთი ენით ალაპარაკდა ყველა კლასი, ყველა პარტია, ერები.

აქ არის დიდი ბრიტანია—სამშობლო კულტურის, დიდი წარმოების და თავისუფალი მრეწველობისა.

აქ არის საფრანგეთი—სამშობლო დიდი რევოლიუციისა და პირველი მოციქული ადამიანის უფლებებისა.

აქ არის შეერთებული შტატები—სამშობლო დიდი დემოკრატიისა და პოლიტიკური შემოქმედებისა.

აქ არის მშვენიერი იტალია—ეს ცოცხალი ხიდი ძველი და ახალი ცივილიზაციისა, იგივე ცხელი მზით და მკვირცხლი ხალხით, როგორც ჩვენი მზე და ჩვენი ხალხი. აი ამათ ჩვენი გაწვდილი ხელი მეგობრულათ ჩამოგვართვეს და ახლად შობილი სახელმწიფოს მიმქრმელის როლი იტვირთეს.

ბატონებო! გვაქვს საფუძველი სიამაყისა. მოხდა იშვიათი ამბავი, მთელმა ევროპამ განურჩევლათ პარტიისა და კლასისა, ერთხმათ გვითხრა: კეთილი იყოს შენი დაბადება, კეთილი იყოს შენი მობრძანება და ჩვენ გვმართებს ეს ერთსულოვანი კურთხევა გავამართლოთ საქმით—გავხდეთ ნამდვილი ევროპიელი.

და ამას გავამართლებთ, თუ ჩვენ შემდეგშიაც ვაწარმოებთ იმ პოლიტიკას, რომელსაც ვაწარმოებდით დღემდე, თუ ჩვენ არ გადავსცდებით იმ გზას, რომელზედაც ვიდოდით დღევანდლამდის.

ჩვენს ირგვლივ ხდება და მოხდება დიადი ამბები, ჩვენ გვმართებს დიდი სიმაგრე, დიდი დაფიქრება, რომ ერთხელ არჩეულ გზიდან არ გადაგვაცდინონ. თქვენ იცით, რომ ჩვენ საომარი კავშირი შემოგვთავაზა საბჭოთა რუსეთმა ჩვენ გადაჭრით უარი უთხარით, ჩვენი პასუხი წაკითხული გექნებათ.

რას ნიშნავს ეს კავშირი? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კავშირი გავწყვიტოთ ევროპასთან, როგორც მათ აქვთ ეს კავშირი გაწყვეტილი და პირი ვიბრუნოთ აღმოსავლეთისაკენ, სადაც ისინი ახალ მოკავშირეებს ეძებენ.

დასავლეთი თუ აღმოსავლეთი—აი ეს კითხვაა ჩვენს წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია, ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს. და თუ ბალშევიკები აღმოსავლეთს ებღაუჭებიან, ეს იმიტომ, რომ დასავლეთმა მათ უარი უთხრა კავშირზე და ცნობაზე.

როგორც ხედავთ საქართველოს და რუსეთის გზები აქაც გაიყარენ, ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი აზიისაკენ. ვიცი, მტრები აყვირდებიან—იმპერიალისტებს ემხრობითო. ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვსთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს. (ხანგრძლივი ტაში).

ბატონებო, ნუ დაგვავიწყდება მეცნიერების ანბანი, ნუ დავანებებთ ვინმეს ფრაზებით გაგვაყრუოს და დავთარი დაგვიბნიოს. ხოლო ანბანია ის, რომ მუშა ხალხი მთელს თავის იმედს ამყარებს კულტურაზე, და არა ბარბაროსობაზე, ის მემკვიდრეა კაპიტალისტური წყობილების, და არა აზიური კარჩაკეტილობის, ის სიმდიდრე, რაც მან შექმნა იმპერიალისტების ხელმძღვანელობით, უნდა გადავიდეს მის სრულ განკარგულებაში, ის სავსებით სდგას ევროპის წარმოების და იდეების ნიადაგზე, და აი ჩვენ, ბატონებო, გვეზიდებიან ბარბაროსობისაკენ. არა, ჩვენ იქით ვერ წავალთ, თუნდაც ეს მეტათ მარცხნით იყოს წასასვლელი. პირიქით, ჩვენ უნდა შევსძახოთ საბჭოთა რუსეთს—დაბრუნდით უკან, ევროპისაკენ, შეითვისეთ დემოკრატია, გახდით ევროპიელი ერი.

ბატონებო, პოლიტიკა განისომება მისი შედეგებით. საუკეთესოა ის, რომელიც იძლევა საუკეთესო ნაყოფს და ჩვენს პოლიტიკას, ჩვენ მიერ არჩეულ გზს თავიდანვე მივყავართ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

მან გადაგვარჩინა ფრონტიდან გამოქცეული ჯარების აკლებას.

მან გვიხსნა ოსმალთა დაპყრობისაგან.

მან აგვაცდინა შინაური ხოცვაჟლეტა და ანარქია.

მან შეგვინარჩუნა რევოლიუციის ყველა მონაპოვარი.

მან აგვაშორა საგარეო ავანტიურები, მოგვცა მეზობელ ერთა კავშირი.

მან შეგვიყვანა საერთაშორისო ოჯახში.

ამ ნაცად გზას ჩვენ ვერ გადაუხვევთ, არ გადაუხვევთ და მის დასაცავათ მომხთურთ იარაღით შევებრძოლებით.

ჩვენ დავიცავთ ჩვენს თავს, ჩვენს საზღვრებს. თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბათ არ ვიხსენიებით.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის ევროპასთან დაკავშირებას! (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

თავმჯდომარე. მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო!

აღსრულდა!

ტყვეთ ქმნილი საქართველო დღეს ბორკილ გაწყვეტილი თამამად შედის ევროპის ხალხთა საერთო ოჯახში, ვით სრულ უფლებიანი წევრი.

1801 წლის 11 იანვარს თავისუფალ საქართველოს ბორკილი დაადვეს, 1920 წ. 11 იანვარს ევროპის სახელმწიფოს მესვეურებმა თავიანთ დემოკრატიის სურვილისამებრ გადაწყვიტეს—საქართველო და მისი ხალხი ღირსია იმისა, რომ ეს უსამართლობა მოისპოს და ბორკილები აეყაროს მას.

საუკუნოებრივი მისწრაფებანი ქართველი ერისა ევროპაში გზა გაეკაფა, გაედო ხიდი ურყეველი, ეს დღეს შესრულებული არის. ქართველმა დემოკრატიამ, საქართველოს ხალხმა განახორციელა ერთი დიადი პრინციპთაგანი, რომლისთვისაც იბრძოდა და დღესაც იბრძვის საუკეთესო ნაწილი კაცობრიობისა — ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რომელიც საქართველოს დემოკრატიამ გამოსახა ყველა იმაში, რის მოწმენი ვართ დღეს. მართალია, თვითგამორკვევა საქართველოს ხალხის, ერის შეუძლებელი იყო [illegible] სხვა პირობებში, მაგრამ ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის იმის წინაშე, რომ ეს ასე მოხდა. საქართველოს დემოკრატიას და მისი დამფუძნებელ კრებას, რასაკვირველია, არ შეუძლიათ, რომ დღეს თავიანთი მხურვალე სალამით არ მიეგებონ იმათ, ვინც ამ ზეიმის უპირველესი მიზეზი არიან. თქვენის ნებართვით მე სალამს ვუძღვნი მოკავშირეთა უზენაეს ორგანოს და დიდ ბრიტანეთს და მის ხალხს, რომლის ინიციატივით აღძრულია ეს საკითხი და რომლის მხურვალე დახმარებით საქართველოს ერს ეღირსა დღევანდელი დღე (მხურვალე ტაში).

დეპუტატები ფეხზე დგებიან და ოვაციებს უმართავენ ინგლისის წარმომადგენელს ბ. უორდროპს.

ჩვენი სალამი ამერიკის ხალხს, ამერიკის დემოკრატიას, ამერიკის სახელმწიფოს, რომლის დახმარება, თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე იყო და რომელიც ამ საკითხში ერთად იყო დიდ ბრიტანეთთან (ტაში და ოვაციები).

სალამი, მოქალაქენო საფრანგეთს და მის ხალხს (ტაში და ოვაციები) სალამი და გამარჯვება თავის მისწრაფებებში იტალიის თავისუფალ ხალხს. (ტაში და ოვაციები). სალამი საბერძნეთის ხალხს და მის დემოკრატიას (ტაში და ოვაციები).

სალამი იაპონიის, ამ ევროპის ცივილიზაციის თავდადებულ გამტარებელს აზიის ქვეყნებში (ტაში და ოვაციები)

სალამი ყველა იმ სახელმწიფოებს, რომელთა გადაჭრითი ხმა ჯერ არ მოგვსვლია, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ არ დაყოვნდება მათი დასტური საქართველოს დამოუკიდებლობაზე (მხურვალე ტაში).

მხურვალე სალამი და მილოცვა აზერბეიჯანის დემოკრატიას (ტაში და ოვაციები).

ჩვენი გულითადი სალამი სომხეთის მრავალ ტანჯულ ხალხს (ტაში და ოვაციები) ჩვენ აღსავსენი ვართ იმედებით, რომ სომხეთის რესპუბლიკა დღეს თუ არა ხვალ გადაიქცევა ბუდეთ იმ ზეიმისა და სიხარულისა, რომელსაც განიცდის დღეს საქართველოს ერი. (ტაში).

ჩვენი სალამი და გამარჯვება მთიელთა ხალხს, რომელიც დღეს თავისუფლებისათვის სისხლს ღვრის (მხურვალე ტაში და ოვაციები).

გაუმარჯოს მოქალაქენო, თავისუფალ საქართველოს.

გაუმარჯოს ევროპის თავისუფალ ხალხთა თავისუფალ ოჯახს!

გაუმარჯოს ჩვენს დღესასწაულს!

გაუმარჯოს 12 იანვარს! (მხურვალე ტაში და ოვაციები).

შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციების წარმომადგენლებმა: სოც. დემ. ფრაქციის სახელით აკაკი ჩხენკელმა, სოც. ფედერალისტების—ს. ფირცხალავამ, სოც. რევოლიუციონერების —ლ. შენგელაიამ, ნაც. დემოკრატების—გ. გვაზავამ, ნაციონალისტების—გ. ვეშაპელმა და დაშნაკცაკანების—ტერ სტეფანიანმა.

სხდომის დასასრულს ერთხმად მიღებულ იქნა სოც. დემოკრატიულ ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია.

რეზოლიუცია

მოისმინა რა მთავრობის განცხადება მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს ფაქტიურ დამოუკიდებლობის ცნობისა, დამფუძნებელი კრება სალამს უძღვნის მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ ერებს და დიდ ბრიტანეთს, რომლის თაოსნობით უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა.

დამფუძნებელი კრება აცხადებს, რომ საქართველო, შედის რა ფაქტიურად, როგორც სრულ უფლებიანი წევრი სახელმწიფოთა საერთაშორისო ოჯახში, პირნათლად შეასრულებს ყოველგვარ საერთაშორისო მოვალეობას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს თავის დამოუკიდებლობას, რომელიც მან დიდი მსხვერპლის შეწირვით მოიპოვა, სამკვდრო-სასიცოცხლოთ შებრძოლება ყოველგვარ თავდასხმას, მტკიცეთ დაიცავს კეთილ-მეზობლურ განწყობილებას მეზობელ სახელმწიფოებთან და უზრუნველ ყოფს შიგნით ეროვნულ უმცირესობათა სრულ თანასწორ უფლებიანობას და მათ კულტურულ განვითარების პირობას.

დღევანდელი დღესასწაულის აღსანიშნავათ დამფუძნებელი კრება ადგენს: დაევალოს მთავრობას მახლობელ დღეებში წარმოადგინოს სათანადო პროექტი დატუსაღებულთა და პყრობილთა ხვედრის შესამსუბუქებლად.

დამფუძნებელი კრება ავალებს მთავრობას გადასცეს სალამი მოკავშირე სახელმწიფოებს, ამასთანავე მიანდოს პრეზიდიუმს მიულოცოს დამოუკიდებლობა აზერბეიჯანის პარლამენტს, ცნობა გაუგზავნოს სომხეთის პარლამენტს და მთიელთა ერებს და უსურვოს მათ დამოუკიდებლობის მალე აღიარება.

ბრძანება

რესპუბლიკის ჯარების მიმართ

(№ 6, 14 იანვარი 1920 წ. თფილისი).

საქართველოს მხედრობავ, ბატონო კამანდირებო, ჯარისკაცნო და გვარდიელებო, გილოცავთ ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას თავისუფლებისათვის. თქვენი თავგანწირვა დამოუკიდებლობისათვის დიადი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ჩვენი მშობელი რესპუბლიკა ქვეყანამ იცნო.

თუ ამდენ ხანს საქართველოს და მისი მხედრობა თითქოს ობლათ გრძნობდა თავს და ეს გარემოება მაინც ვერ ასუსტებდა თქვენს სიმტკიცესა და მამაცობას, ამიერიდან თქვენი რაზმები კიდევ უფრო გაძლიერდებიან და გაათასკეცებული ენერგიით თავზარს დასცემენ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის მტრებს, ვინც არ უნდა იყვნენ ეს მტრები და რა მხრიდანაც არ უნდა მოადგნენ იგი რესპუბლიკის საზღვრებს.

თქვენ უკვე მოიპოვეთ გამარჯვება მედგრო რაზმებო და გაიმარჯვებთ მომავალშიაც.

ვაშა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის მხედრობას!

სამხედრო მინისტრი
გრ. ლორთქიფანიძე.

დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტოსი

15 იანვარი.

გერმანული პრესის ცნობები

„ციურიხერ ციიტუნგი" სწერს: ზავის ახალმა პირობებმა იმათაც გაუცრუა იმედები, ვინც ისე გულუბრყვილო არ არის, რომ სჯეროდეს ზავის შეკვრა ოქროს საუკუნის დასაწყისი იყოს. საზავო ხელშეკრულობა საერთაშორისო გაწვავების საბაბათ შეიქნება. „ფოლი" სწერს: საზავო ხელშეკრულების სახით სიცრუემ ჭეშმარიტებაზე გაიმარჯვა. გაზეთები სწერენ, რომ ეს ზავი არ იყო გულწრფელი. „ფორვერტსი" ბეჭდავს ფრანგების მიერ დაჭერილ რეინის ოლქიდან გამოგზავნილ კორესპონდენციას, რომელიც შეეხება დამოუკიდებელთა პარტიის წევრების აგიტაციას. საფრანგეთის მთავრობის დახმარებით დამოუკიდებელნი გახდნენ ფრანგ გენერლებისთვის საყვარელ პირებათ, რადგანაც ისინი საფრანგეთის ანექსიონისტებისა და მილიტარისტების მიზნების განხორციელებას ხელს უწყობენ. საფრანგეთის სამსახურში არის მრავალი დამოუკიდებელი, რომელთაც კარგათ იციან, რომ ისინი გერმანიის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ. „ფორვერტსი" მოითხოვს, რომ დამოუკიდებელთა პარტიის კომიტეტმა შეაჩეროს ეს აგიტაცია.

დანციგში მომხდარი გაერთიანებულ სოციალისტების დამოუკიდებლებთან შეერთება ამ ოთხი დღის წინეთ ხელახლა დაირღვა. მიზეზი გახდა სოციალისტურ უმეტესობის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის ხელის შეწყობაზე უარის თქმა. ბავარიის კათოლიკე-მუშები არ იწონებენ ბავარიის ცენტრის დადგენილებას, რომელმაც გერმანიის ნაციონალურ კრების კათოლიკურ პარტიიდან გამოყოფა დაადგინა.

გერმანიის დამცველმა ლიგამ მიუნხენში ბჭობა იქონია ებრაელთა საკითხზე. ერთმა ორატორმა სთქვა: „ჩვენ არავისზე ძალადობა არ უნდა ვიხმაროთ რადგან ის სასურველ შედეგებს ვერ მოიტანს. ჩვენი მოთხოვნილებაა გადაყენებულ იქნას მთავრობის წევრობიდან და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობიდან ყველა უცხოელიო.

ლიუქსენბურგი ნერვიულად უცდის ლიბკნეხტის ხვალინდელ წლის თავს. ნოსკემ [illegible] და ზომები მიიღო უკიდურესთა მიერ ლიბკნეხტის სახსოვრად მიტინგების გამართვის წინააღმდეგ. რეიხსტაგს გარს არტყია თავდამცველი ჯარი და ტყვიისმფრქვევლები. ყველა მისავალი პატრულებს უჭირავთ. ვილჰელმშტრასე სავსეა ჯარებით, ტყვიისმფრქვევლებით, არტილერიით.

ფრანგული პრესის ცნობები

ეკონომიური თვალსაზრისით მოლაპარაკება ბელგიისა და ჰოლანდიის შორის 1839 წლის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ უკვე თავდება. ფიქრობენ, რომ საკითხი შემდეგნაირით გადაწყდება: არსდება ორი შერეული კომისია. ერთი იქნება ბრიუსელში და მეორე გენტში, ეს კომისიები, სადაც შევა ნაწილი კომისიისა ჰოლანდიელებისა და ნაწილი ბელგიელებისა, მოაწესრიგებენ ნავოსნობის, განათებისა და მდინარეების გაწმენდის საკითხს. მათ შეუძლიათ, თუ საჭიროება მოითხოვს, თავისი სხდომები გადაიტანონ ჰოლანდიაში და ერთგვარი დამოუკიდებლობით ისარგებლონ. სადავო შემთხვევებში კომისია ამოირჩევს არბიტრს, რომელიც იქნება ეროვნებათა ლიგის ერთ ერთი წარმომადგენელი. სამაგიეროთ სამხედრო შეთანხმება ბელგიასა და ჰოლანდიის შორის არ მოხდა.

გემ „აფრიკის" დაღუპვა. ეშინიათ მსხვერპლის რაოდენობა არ იყოს იმაზე მეტი, რამდენსაც ფიქრობენ. გადარჩენილთა რიცხვი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ერთ ადგილას გადაარჩინეს 21 კაცი, მეორე ადგილას ნაპირზე გადაიყვანეს 12 კაცი. ყველა მხარეზე გაგზავნილია ნავები და რადიო დეპეშები. გადარჩენის საქმეს ხელს უშლის ზღვის ღელვა.

დ-რ ტამიო ეკვადორის პრეზიდენტათ ამოირჩიეს.

[illegible] დილით ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით მოხდა უმაღლეს საბჭოს სხდომა. საბჭომ უარყო სამხრეთ-სლავიის მთავრობის მოთხოვნილობა 1868 წლის უნგრეთთან დადებულ ხელშეკრულობის გადასინჯვის შესახებ. საბჭომ გადაწყვიტა შეისწავლოს მუხლი ნახშირის მოტანის შესახებ. იგი შეუდგა კონფერენციის ოქმების გამოქვეყნების პირობების განხილვას. საბჭომ მხედველობაში მიიღო შეერთებული შტატების განცხადება, რომ იგი მონაწილეობას არ ღებულობს გერმანიის სამხედრო გემების განაწილებაში.

ბალშევიკური ცნობები

მოსკოვი. იანვ. 14. კრასნოიარსკიდან მიღებულია შემდეგი შინაარსის ცნობა: „ნიჟნე-უდინსკიდან გვატყობინებენ, რომ 27 დეკ. ჩეხელთა ბატალიონმა დაატყვევა კოლჩაკის მატარებელი. ამავე დროს ნიჟნე უდინსკში მოხდა მთავრობის გამოცვლა. კოლჩაკის მატარებელს ჩეხები სდარაჯობენ. მატარებელში ინახება ოქრო და იმყოფებიან ზოგიერთი მინისტრები: დიაჩევსკი, პეპელიაევი და გენერ. მარტიანოვი.

ჩერემხოვის რევ. შტაბი იუწყება კრასნოიარსკიდან 3 იანვრის თარიღით: ირკუტსკში ცხარე ომი სწარმოებს ქალაქის ქუჩებსა და განაპირა უბნებში. ნაწილი ქალაქის ცენტრისა რევოლიუციონერ ჯარს უჭირავს, რომელიც პარტიზანებთან შეთანხმებით მოქმედობს. ქალაქში იუნკერები არიან გამაგრებულნი. ჩეხები და იაპონელები ნეიტრალიტეტს იცავენ.

მოძრაობა სოციალისტ-რევოლიუციონერთა მოწყობილია, რომელთაც დახმარებას უწევენ ამერიკელები. მათი სამხედრო ფლოტი უახლოვდება ვლადივოსტოკს, რათა ხელი შეუშალონ იაპონელთა დესანტის გადმოსხმას. ესერებსა და მენშევიკებს, რომელთაც კავშირი შეკრეს გლეხთა კავშირთან, განზრახული ჰქონდათ კოლჩაკის ჩამოგდება და დამოუკიდებელი ციმბირის აღიარება მდინარე ობიდან დაწყებული ვიდრე ვლადივოსტოკამდე. დღეს დღეობით მდგომარეობა ასეთია. ირკუტსკში შესდგა მთავრობა ზემოთ დასახელებულ ჯგუფებისა. სემიონოვის რაზმი, რომელსაც სურდა ძალა უფლების ხელში ჩაგდება, დამარცხდა. მათ წაართვეს 3 ჯავშნიანი მატარებელი და 1500 ტყვე. ბაიკალის ირგვლივ რკინის გზა ირკუტსკის მთავრობის ხელშია. კანსკის და ირკუტსკის შორის სდგანან პოლონელთა ეშელონები, რომელნიც იარაღის დაყრაზე უარს ამბობენ.

მოსკოვი. 14 იან. სამხედრო ცნობა, 14 იანვარი. ნარვის რაიონში ჩვენს მხარეზე გადმოვიდა 100 მტრის მეომარი. რეველის რაიონში, მდ. კუნბაზე სასტიკი ბრძოლა გრძელდება. იაკობშტადტის მიმართულებით მტრის იერიშებს ვიგერიებთ. ფინსკის მიმართულებით სადგურ რუშონის ჩრდილოეთით ომი სწარმოებს. პოლოცკის რაიონში მტერი დვინაზე გადმოსვლას შეეცადა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. მოზირის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო მარიჩი და სადგური პტიჩი. ვინიცის რაიონში ავიღეთ სინიავა და ლიტინევი. ელიზავეტგრადის რაიონში მტერი დავამარცხეთ, წავართვით 170 ტყვე.

ნიკოპოლის რაიონში ჩვენი ჯარი იარაღს ჰყრის მახნოს რაზმებს. ნოვოჩერკასკის რაიონში ჩვენმა ჯარმა გადალახა მდინარე დონი სადგურ კონსტანტინოვსკაიასთან და მიიწევს სემიკარაკორსკაიასაკენ. ველიკო კნიაჟესკაიას მიმართულებით ავიღეთ სად. კუმშაცკაია. ცარიცინ-ტიხორეცკაიას რკინის გზის რაიონში ჩვენი ჯარი გამოვიდა ვერხნე-კურმოიარსკაია-გრომოსლავკის ხაზზე. ყიზლიარის მიმართულებით ავიღეთ ჩერნიარინოვო, ტალოვსკაია და რაზდოლიე. გურიევის რაიონში ავიღეთ ქალაქი კოსა.

ახალი ამბები

მთავრობის თავმჯდომარის დეპეშა უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს. მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ პარიზში საზავო კონფერენციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: მთელი საქართველო და მისი მთავრობა ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ ცნობას საქართველოს რესპუბლიკის de facto აღიარებას. მადლობას გიძღვნით რა ამ დიდებული აქტით საქართველოს ხალხის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი ძალის ნდობის გამოცხადებისათვის, რომელიც მთელი საუკუნოების განმავლობაში ევროპის კარებთან დარაჯათ ედგა ცივილიზაციური ქვეყნის პროგრესიულ მისწრაფებებს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ღრმად დარწმუნებულია, რომ ქართველი ერი, მოკავშირეთა დიდი სახელმწიფოების დახმარებით, მტკიცე კავშირი შეკვრას ევროპასთან და გახდება ღირსეულ წევრი იმ დიდ ოჯახის, რომელმაც ამ მძიმე დროს დახმარების ხელი გაუწოდა მას.

◆ **საგარეო საქმეთა მინისტრის დეპეშა ლორდ კერზონს.** საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა ლონდონში საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ კერზონს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: ქართველი ხალხი ღრმა კმაყოფილების გრძნობით [illegible] სიხარულით შეხვდა [illegible] ლის საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. რესპუბლიკის მთავრობა ულრმეს მადლობას გიძღვნით თქვენ ამ აქტში თქვენ მიერ გამოჩენილ ინიციატივისათვის, რომელსაც საქართველოსათვის დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს და გამოხატავს რწმენას, რომ [illegible] დახმარება, რომელიც თქვენ აღმოუჩინეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების საქმეს, ბრწყინვალე სტიმულათ იქნება [illegible] განმტკიცებისათვის, რომელიც არსებობს დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს რესპუბლიკის შორის.

◆ **დღეს**, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა (კრუზენშტერნის ქ., № 4).

◆ **ერობათა** [illegible] წარმომადგენლობის კრება. სამშაბათს, 20 იანვარს, საღამოს 6 ს. [illegible] სამინისტროს ახალ შენობაში (ყოფილი კადეტთა კორპუსი) გაიხსნება ერობათა და [illegible] წარმომადგენლების კრება. [illegible]

◆ **დავით კლდიაშვილის** საიუბილეო კომისიის თხოვნით საღამოს მწერალთა კლუბ „ქიმერიონში" [illegible] კრება, [illegible] კლუბების წარმომადგენლები. [illegible] „ქიმერიონში" [illegible] კომისიისა. [illegible]

◆ **საქართველოს** [illegible] იანვარს 21. [illegible] № 4 დილის 10—11 ს.

◆ **ქალაქის საავადმყოფოში** 1 დეკემბრის ყოფილა 73 სნეული და სხვა სენით ავათმყოფი, შემდეგ მოვლილა 124; გამოწერილა 119 ავათმყოფი; გარდაცვლილა 12. 1 იანვრისათვის საავადმყოფოში და გარეთ ყოფილა 154 სნეული და სხვა სენით ავათმყოფი.

◆ **ვეძებთ** [illegible] 45 წლისაა. [illegible] № 16, [illegible].

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 5 ს. [illegible] „საქართველოს ისტორიული საზღვრები".

◆ **მთავრობაში.** 3 იანვრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: [illegible]

ქრონიკა

— პარასკევს, 16 იანვარს (19 თებერვლის ქუჩაზე, სახლი 9) საღამოს სრულ 7 ს. [illegible]

პროვინციის ქრონიკა

ქ. ქუთაისი 21 იანვარს, [illegible] 20 წლის [illegible] „დანაშაული და სასჯელი" [illegible]

მილოცვები დამოუკიდებლობის აღიარების გამო

მილოცვა ქართულ ისრაელიანთაგან.

ქართველი ისრაელების სახელით [illegible] დამფუძნებელ კრებას [illegible] ქართველ ერს [illegible] ევროპის [illegible] ჩვენი სამშობლოს თავისუფლების ცნობაში.

ეს [illegible] ჩვენი დამოუკიდებლობისა [illegible] ჩვენ, ქართველ ისრაე-

ლებს იმ დიდებულ და საამაყო წარსულისათვისაც, რომელსაც წარმოადგენს ისრაელთა ცხოვრება საქართველოში.

ქართველი ერის ისტორიაში ისრაელთა ცხოვრება არის ჭეშმარიტად „ბრწყინვალე ფურცელი".

ამ უმაგალითო ფაქტით შეუძლია იამაყოს ქართველმა ერმა მთელი კაცობრიობის წინაშე!

საქართველოს ისტორიის დასაბამიდანვე ქართველებთან თანაბრად მცხოვრებნი, დღეს განუყრელ ძმებად ქცეულნი ჩვენ ისრაელები თანაბრადვე ვზეიმობთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ისტორიულად აღდგომას და მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განთავისუფლებას...

დიდება ჩვენს მომავალს! გამარჯვება და დღეგრძელობა მთელ ქართველ ერს!

დამფუძნებელი კრების წევრი მ. დავარაშვილი.

ახალ-სენაკის რაიონის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი გულ-მხურვალეთ გილოცავენ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. ფიცს სდებენ გაორკეცებული ენერგიით ემსახურონ საყვარელ სამშობლოს. სენაკში ცნობის მიღებისთანავე მოსამსახურეთა საერთო გამგეობამ თავისი ღარიბი ჯიბიდან სამი ათასი ეკზემპლიარი დეპეშა სასწრაფოდ დაბეჭდვინა მაზრაში უფასოთ გასავრცელებლად. დღეს მაზრა ხარობს. გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ დემოკრატიას, მის გვირგვინს დამფუძნებელ კრებას, მთავრობას.

სენაკის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საერთო გამგეობა.

ბუდაური. ჩვენც ბუდაურის კუნწუბზე მცხოვრებნი დიდი და პატარა დიდით მოხარულნი ვართ თავისუფალ საქართველოს და მეზობელ აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის ფაქტიურათ ცნობით. გაუმარჯოს საქართველოს თავისი მშრომელი სახელოვანი შვილებით. არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს, ისევ მალე გაიღვიძებს. მოვესწარით გაღვიძებას. საუკუნო ხსენება ამ სიტყვების მთქმელ მგოსან აკაკის.

მონდობილობით დათიკო კაიშაური.

ეკატერინოვკა. მრავალ რიცხოვანი კრება ბორჩალოს მაზრის ყველა სოფლების წარმომადგენლების უდიდესი სიხარულით ულოცავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და რესპუბლიკის მოქალაქეთ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას ევროპის მიერ და უსურვებს მას განმტკიცებას და გაძლიერებას. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

კრების თავმჯდომარე კაკაბიძე.

ხიდნალის გვარდიის შტაბი აღფრთოვანებული სიხარულით გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის უმაღლეს საბჭოს მიერ აღიარებას. სამარადისოთ განმტკიცებულიყოს საქართველოს დამოუკიდებლობა დემოკრატიული პრინციპებით, რითაც მალე გარდავალთ სოციალიზმში. მუმბურიძე.

ოზურგეთი ერის რჩეული და მცხოვანი წინამძღოლო საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიური ცნობის გამო მხურვალე სალამს გიძღვნით გურია. გურიის ერობა.

ხიდნალის ხმოსანთა არა ჩვეულებრივმა კრებამ მოისმინა რა ამბავი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა უმაღლეს საბჭოს მიერ, აღფრთოვანებული ამ ცნობით მოგესალმებათ თქვენ, როგორც ხელმძღვანელს საქართველოს რესპუბლიკისას. მცხოვრებნი ამ ამბავს დიდის აღტაცებით შეეგებნენ.

საბჭოს თავმჯდომარე კრავაშვილი.

თელავი (ნ. ჟორდანიას). — საქართველოს პროლეტარიატის მებაირახტრევ ჭაღარა ბელადო! გილოცავთ საქართველოს განთავისუფლებას. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს, გაუმარჯოს სოციალიზმს!

კურდღელაურის დემოკრატ. საორგანიზაციო ბიურო.

ხვანჭკარის (რაჭა) საზოგადოება ზეიმობს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას და ულოცავს მის მთავრობას ბრწყინვალე გამარჯვებას.

მონდობილობით არტ. შიშინაშვილი.

კოცნათა ციხე-ბურჯები

(12 იანვარი).

ჩემო კარგო ქვეყანავ,
ნულარ მოგიწყენია!..

ადრევე მეგონა: მით უკეთესია, რაც უფრო განუხორციელებელია ოცნება მეთქი. ასე ალბათ იმიტომ ვფიქრობდი, რომ ამ ოცნების ლაჟვარდოვან თვალებში ისე გრძნებით არ ჩამეხედა მხოლოდ შორიდან მოტრფიალეს. მართალია ამ ბოლო დროს ბედნიერი წუთები ბევრი გვედირსა. მარტო „მთავრობაძის გასვენება" რათა ღირდა, ანდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მისი წლის თავის დღესასწაული.. მაგრამ მაინც ყოველთვის რაღაც აკლდა ლხინსა და ნიშატობას.

არც თავისუფლების ყვავილები, არც დამოუკიდებლობის სურნელება, არც სხვა „ობა" არ იყო ისეთი, რომ გვეთქვა: „ეს არის, რასაც ვეძებდით, მოვრჩით და გავიხაროთო".

დღეს კი ანაზდეულად მოგვიახლოვდა მხოლოდ ზღაპრებში ზმანებული უმშვენიერესი ქალწული არსება, გადაგვიწვა თავი და ტუჩებზე დაგვეკონა.

მგოსნების სიყვარული ხომ იცით რა დამწველია. მიუხედავათ ამისა, მთელი ქვეყნის მგოსნების პირველი ტრფობის პირველი ამბორნიც რომ შეაერთოთ,— ისეთი დამათრობელი მაინც არ იქნება, როგორიც იყო კოცნა გუშინდელ ქალწულისა.

იცით ვინ იყო მშვენიერი არსება?— საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება აი მისი სახელი.

იგი ელვაზე უსწრაფესი აღმოჩნდა.. აღმოსავლეთის მიჯნურსავით შმაგად შეიჭრა იგი: ქარხნებსა და ყაზარმებში, დაწესებულებებსა და ქოხმახებში და იშხიანად გადაჰკოცნა თავისი ტრფიალნი...

განა უბადრუკ—აშიყ-მაშიყთა ხვევნა და მტლაშა-მტლუშს შეეძლო ასეთი წმინდა და ფაქიზ რამის გამოგონება, როგორიცაა კოცნა ღვთიური?

გუშინ მივხვდი, რომ მხოლოდ დიად სიყვარულს შეეძლებია ასეთი კოცნა.

კაცობრიობას რომ დღემდე არც კი სცოდნოდა კოცნა—გუშინ უეჭველად გამოიგონებდა. გუშინ მთელი თფილისი ერთი გრძნობით აზმატკბილებული იყო და ჰკოცნიდა... ჰკოცნიდა ყველას გატაცებით... გაგიჟებით...

მრავალ ჟამის განმავლობაში ძაძა-მოსილს, გეთსიმანიის ბაღად გადაქცეულს საქართველოს მგონია იმდენი ცრემლი არა სდენია სიმწრისა, რამდენიც გადიშალა გუშინ კოცნის ყვავილები.

მტერი რაღა იქნა, ჩვენი დაუძინებელი მტერი?.. ის დაძრწოდა გუშინ და ეძებდა თოკს თავის ჩამოსახრჩობად, მაგრამ არავის ჰსურდა თოკის გაუწმინდურება და იყო იმ სამარცხვინო ყოფაში...

არა ერთი სახელმწიფო საუკუნეთა ქარიშხლის დინებაში ისე იბადება და ისპობა, რომ ერთი რა არის, ერთხელაც არ ჰღირსებია ისეთი წამი, როგორსაც გუშინ ჩვენ განვიცდიდით.

უბადლო მჭერმეტყველნი დემოსთენი, ისოკრატი და ციცერონიც რომ წარმომდგარიყვნენ სამარიდან—ისინიც კი ვერ შეიძლებდნენ ჩვენი აღტაცების გამოთქმას.

კოცნა, მხოლოდ კოცნა მეტყველებდა გუშინ უბადლოდ და განუმეორებლად.

კოცნათაგან შენდებოდა ის ციხე-ბურჯები, რომელნიც უკუაქცევს წარსალეკად მოღვართქაფებულს რეაქციის ზღვას. მხიარულ შეუხუნებლად ბრწყინავდა და ფეთქავ გულები მოქალაქეთა, რომელნიც მზად არიან ათასჯერაც კი შეეწირონ თავისუფალ საქართველოს, თუ კი ეს საჭირო და შესაძლებელი იქნება.

უყურებდი გუშინ ჩვენს ლიტანიობას და ნება-უნებლიეთ მომაგონდა საქართველოს შავ-ბნელ დროის მმართველი ლიტვინოვი, რომელიც ისე გაკადნიერდა და ისე შეაგინა ჩვენი ერის ღირსებანი, რომ რუსთა ხელმწიფეს სწერდა: საქართველოსთვის სამშობლოს სიყვარული უცხო რამ არის. მამულის სახელიც კი არ იპოვება ქართულს ენაშიო.

კარგი იქნებოდა ამოეხედნა გუშინ სამარიდან და მოეკრა თვალი საქართველოს ღირსებისათვის, რომ შურით და ბოღმით პირქვე გადაბრუნებულიყვნენ მისი ძვლები.

ზიმზიმებდა გუშინ თფილისი მოხლვავებულ ზღვასავით და აღტაცებით შეჰყურებდა სასახლის სარკმელს, საიდანაც მორჭმით გადმოგვცქეროდა ჩვენი დიდი ნოე...

ძველად, ქრისტიანობის გარიჟრაჟისას კონსტანტინე მეფეს გამოესახა ცაზე ცეცხლის ჯვარი და მოესმა იდუმალი ხმა: ამით იმარჯვებდიო.

საქართველოს ცეცხლის ჯვარი და წმინდა სიმბოლო—ნოე ჟორდანიაა.

ბრძნული ხმა ჩაგვძახის: მის მეთაურობით იბრძოლეთო! მიგვიძღვის ჩვენ იგი წინ და ვიმარჯვებთ კიდეც. გუშინდელი დღეც სწორეთ ამ გამარჯვების ნაყოფია.

ურიცხველ, უნგარიშო მებრძოლებმა მოწამეობრივ ტანჯვის შემდეგ სიკვდილის ძილს იმიტომ მისცეს უდრტვინველად თავი, რომ ეს მომხიბლავი ამბავი სიზმრად ენახათ და ეანდერძათ ჩვენთვის.

ფრთხილად, ფრთხილად საყვარელო ხალხო! გუშინდელი ბედნიერება „ლურჯ ჩიტსავით" სათუთი და იშვიათია... ფრთხილად.. არ გაგისხლტეს ხელიდან... აღარ ამოგვიამდეს ნეტარებით გაბრწყინებული თვალები...

დ. თურდოსპირელი.

„გაზეთ ერთობის"
მკითხველების საყურადღებოთ

მიმდინარე 1920 წლის 15 იანვრიდან ჩვენი გაზეთი, როგორც თფილისში ისე პროვინციაში

ცალკე ნომერი ღირება—3 მან. თვიურათ—75 მან.

ადგილობრივ გაზეთის გამყიდველებს

ცალი დაეთმობათ 2 მ. 50 კაპ.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (არა უმეტეს 30-თი პეტიტის სტრიქონისა) ღირება 100 მანეთი. დანარჩენი განცხადებების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—5 მანეთი, მეოთხე გვერდზე—4 მანეთი.

(ფფ.)

უცხოეთი

რუსეთი.

ოდესაში.. გაზ. „სინ ოტეჩესტვა" ქალაქის ანტისანიტარული მდგომარეობის შესახებ სწერს: იმ დროს, როდესაც ქალაქში ათასგვარი გადამდები ავათმყოფობანი არის გავრცელებული, აი ამ დროს აბანოები და საჩაიები ღარიბ მცხოვრებთათვის მიუწვდომელი ხდება. აბანოებთან ათასობით იყრის ხალხი თავს. ცხელი წყლის დიდი ნაკლებობა არის, საჩაიებში ადუღებარი წყალი არის მხოლოდ. აბანოებში და საჩაიებში ხალხს საზღაპრო ფასებს ახდევინებენ საჩაიებში. ისეთ სანოვაგეს ჰყიდიან, რომელიც ხელს უწყობს მხოლოდ ადამიანის კუჭის მოშლას და სხვადასხვა ავათმყოფობის გავრცელებას.

მეორე გაზეთი სწერს: მეეზოვეებს სახელი შეუცვლიათ. მათ „სახლების ზედამხედველებს" უწოდებენ. უკანასკნელნი ამჯობინებენ გულ ხელდაკრეფილნი ეწვნენ კარებთან ჯდომას და ბავშვებთან ლაქლაქ-გინებაში დროის გატარებას, ქუჩების და ეზოების დასუფთავება მათ სასირცხოთ მიაჩნიათ. სახლის პატრონები არც კი სთვლიან თავიანთ თავს ვალდებულათ დაზიანებული წყლის სადინები შეაკეთონ. ეზოები ნაგვით არის სავსე, ქუჩებში ჭაობები დგას, ქალაქი სავსეა სიბინძურით, პატრონი არავინ არის. მეეზოვეებს არავინ არ ეუბნება, შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. არ სჩანან არც სახლის პატრონები, არც სახელმწიფოებრივი ძალა უფლების დამცველნი და არც ოთახის დამქირავებელნი იწუხებენ თავს. ქალაქი დღითი-დღე ჰკარგავს ყოველივე იერს და ტალახში და ჭუჭყში იფლობა.

სამხედრო კავშირი მოხალისეებისა პოლონეთთან. „რუსაგენის" ცნობით, ხელმძღვანელ წრეებში კვლავ დაისვა კითხვა პოლონეთთან სამხედრო კავშირის შეკვრის შესახებ. როგორც იტყობინებიან, პროექტი პოლონეთთან სამხედრო ხელშეკრულების დადების შესახებ რამდენიმე ხნის წინათ წარედგინა მოხალისეების მთავარ სარდლობას. პოლონეთი პირდება მოხალისეებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას, სამაგიეროთ მოითხოვს ტერიტორიალურ კომპენსაციებს. უკანასკნელათ მომხდარ თათბირზე, ეს კითხვა გაირჩა და როგორც ამბობენ, კავშირი ორი მოძმე—რუსეთის და პოლონეთის ხალხების სასურველათ სცნეს, იმ პირობით, თუ საზღვრების გადამიჯვნის დროს საფუძვლათ დაედება ეტნოგრაფიული ნიშნები.

ვილნის ოკუპაცია. „ოდესის ლისტოკში" მოყვანილია ცნობა პოლონელების მიერ ვილნის ოკუპაციის შესახებ. პოლონელების ჯარები ჟიტომირ ბერდიჩევისაკენ მიიწევენ. ამ ჟამად პოლონელებმა დაიპყრეს ნოვგოროდ-ვოლინის მთელი მაზრა და მიუახლოვდნენ მდინარე სლუჩს. ყველა დაპყრობილ ქალაქებში და დაბებში პოლონელებმა თავიანთი უფროსები დანიშნეს, სამოქალაქო აპარატი არ არის ჯერ მოწყობილი. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში პოლონელები არიან ბატონ პატრონნი. კომუნისტებს სამხედრო საველე სასამართლოში აძლევენ. რკინის გზებზე მიმოსვლა ჯერ-ჯერობით ნორმალურათ არ სწარმოებს. ფოსტა-ტელეგრაფიც სუსტათ მუშაობს.

ვალიუტის საკითხი „დობროვოლიაში". უკანასკნელი ამბების გამო ფულის კურსის დაცემამ სამხრეთ რუსეთში კატასტროფიული ხასიათი მიიღო: ინგლისური გირვანქა სტერლინგი „დობროვოლიაში" ფასობს 2000 მან. მაშინ როდესაც იგი კონსტანტინოპოლში ღირს 600—700 მან., ხოლო ინგლისში 200 მან. მოხალისეთა გაზეთები წვრილ-წვრილად აქვეყნებენ ამ საკითხის შესახებ და გამოსავალს ეძებენ. მიზეზათ გაზეთები ოდესის ბირჟების სპეკულიაციას ასახელებენ, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო და რომლის წინააღმდეგაც ულონო აღმოჩნდა მოხალისეთა სარდლობის მიერ მიღებული ზომები; სპეკულიაციამ დაბადა ფართო სავალიუტო ვაკხანალია. გაზეთების გადმოცემით საკითხი გაურჩევიათ მოხალისეთა სარდლობასთან არსებულ საგანგებო სათათბიროში. იამჩენკომ, ვაჭრობა მრეწველობის წარმომადგენელმა ადგილზე, შემდეგი განაცხადა: რაც უფრო საჩქაროთ მოეწყობა საექსპორტო კომისია, მით უფრო მალე მოეღება ბოლო ვალიუტის სპეკულიანტების მოქმედებას. თათბირი შემდეგ დასკვნამდე მივიდა ერთად-ერთი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან არის ექსპორტი; უნდა მოეწყოს ნედლი მასალისა და პურის საზღვარგარეთ გატანა, რომელსაც, გაზეთების აზრით, კონტროლი უნდა გაუწიოს მთავრობამ.

„სახელმწიფოს მოღალატეები". ამ სათაურით ოდესის გაზეთ „სინ ოტეჩესტვაში" მოთავსებულია ბერნაცკის წერილი, რომელიც ეხება რკინის გზებზე არსებულ წესებს და აღნიშნავს იმ უწესობას და მექრთამეობას, რომელსაც ადგილი აქვს რკინის გზებზე. საზოგადოებრივ ორგანიზაციების ტვირთი არ იგზავნება თავის დროზე, რიგ გარეშე. სპეკულიანტებისათვის არის ყოველთვის მზად ვაგონები. საჭიროა სასტიკი ზომების მიღება მოღალატეების მიმართ. ამ ვაჟბატონთა მოღვაწეობა ხელს უწყობს მოხალისეების ავტორიტეტის დაცემას და მტრის ძალების გამაგრებას. სახელმწიფოს მოღალატეები დარწმუნებული არიან, რომ მათი ბნელი საქმეები დაუსჯელი დარჩება და ესაა მიზეზი, რომ ასე უშიშრად განაგრძობენ თავიანთ მოღალატურ მოქმედებას. მისი აზრით მხოლოდ რეპრესიული ზომების საშუალებით შეიძლება მოღალატეების ალაგმვა.

ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა

13 იანვარს ქალაქის თვითმართველობის შენობა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. გირლიანდებითა და ნოხებით მორთული, ელექტრონებით საგანგებოთ განათებული იპყრობდა გამვლელთა ყურადღებას. შესავალ კარებიდან, საბჭოს ოთახამდე იატაკი მოფენილი იყო ხალიჩებით და მცენარეებით.

საღამოს 7 ნახ. საათზე თავისუფლების მოედნის წინ მუსიკამ აცნო საზოგადოებას, რომ დღის ქალაქი იხდიდა დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვების დღესასწაულს.

საბჭოს სხდომა გაიხსნა საღამოს 8 ნახ. საათზე. სხდომას დაესწრნენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე მთავრობის მთელი შემადგენლობით, სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ხატისოვი, უორდროპი, ჰასკელი, პოლკოვნიკი გაბა, უცხო სახელმწიფოთა სხვა წარმომადგენელნი, საქართველოს კათოლიკოსი ლეონიდი, დამფუძნებელი კრების წევრნი, პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელნი და აუარებელი საზოგადოება.

სხდომას თავმჯდომარეობს გრ. გველესიანი, რომელიც შემდეგს ამბობს: მოქალაქენო! გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას მოკავშირეთა მიერ. როდესაც ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი ზარობს, როდესაც ძლევამოსილი დემოკრატია ბრძოლაში გამარჯვებული ბრწყინვალე გამარჯვებას დღესასწაულობს, ჩვენ ვსთქვათ, რომ დიდია ეს დღე. 120 წელი ქართველი ერი სულს ღაფავდა მონობის ქვეშ. დღეს მან მოიხვეჭა თავისუფლება, მაგრამ ეს მას დღეს კი არ მიუღია; მან 26 მაისს აღბეჭდა ამ დღეს ქართველმა ერმა სთქვა, რომ მას უნდა თავისუფლება და უპირველესად ყოველისა ამ დღეს გილოცავთ; შემდეგ კი მოყვა ევროპის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ეს უკანასკნელი არის ორი გარემოების შედეგი: პირველად მისი ხანგრძლივი ბრძოლისა და კულტურულად ამაღლებისა და მეორეთ მისი სახელმწიფო შენობის უნარისა, რომ მან ამ მოკლე ხანში მთელ ქვეყანას დაუმტკიცა, რომ მას შეუძლია თავისუფლად და დამოუკიდებლად ცხოვრება. ვისურვოთ გამარჯვება და ჩვენი მოპოვებული დამოუკიდებლობის განმტკიცება. გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს ქართველი ერის მძლეველ ხელს და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. (ტაში. მუსიკა უკრავს ეროვნულ ჰიმნს) მომეცით ნება ქალაქის საბჭოს სახელით დიდი მადლობა გამოუცხადოთ აქ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რომელთაც დახმარება გაგვიწიეს ჩვენ დამოუკიდებლობის მოპოვებაში. (ხმაური და საზოგადოება ფეხზე ადგომით ტაშს უკრავენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ)

ივ. გომართელი. ბატონებო! ქართველი ერის ბრძოლა ბრწყინვალეთ დაგვირგვინდა. აღსდგა დემოკრატიული საქართველო. ჩვენ ბევრი ჭირი გადავხადეთ და ჯალათთ მრავალი ტანჯვისა და უთანასწორო ბრძოლისა, ჩვენ ვდღესასწაულობთ დღევანდელ დღეს. ეს არის შედეგი ქართველი დემოკრატიის ბრძოლისა, მისი პოლიტიკური მომწიფებისა და კულტურულ ამაღლებისა. დღევანდელი დღე დაგვირგვინებაა წარსული ბრძოლისა, რომელსაც საქართველოს დემოკრატია აწარმოებდა. მთავრობა და საზღვარ-გარეთ გაგზავნილი ჩვენი დელეგაცია მუშაობდნენ, რომ ეს დღე ქართველებს გათენებოდათ და აი, თქვენ ხედავთ ამ მუშაობის ნაყოფსაც. ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა სთქვეს, რომ საქართველოს შეუძლია დამოუკიდებლად იარსებოს. ჩვენ დიდი ხანია ვიდექით ევროპის კარების წინაშე; ევროპისაკენ მისწრაფება, ეს ჩვენი წყურვილი იყო, ვინაიდან თუ ჩვენ ვერ მოვიპოვებდით ევროპას განვითარებულ ოჯახის წევრობის უფლებას, ეს დიდი უბედურება იქნებოდა ჩვენთვის და ამიტომ ჩვენ ვიბრძოდით და თქვენ ხედავთ, რომ ევროპამ უკვე სთქვა, რომ ქართველებმა თავისი მომწიფებით ეს უფლება მოიპოვეს.

თქვენ იცით, რომ ჩვენი დემოკრატია რევოლუციამდე რუსის ხალხთან იყო და მასთან ერთად იბრძოდა. მაგრამ რევოლუციის შემდეგ გამოისახა ორი გზა. ერთზე იწერა—რევოლუცია სტიქია და ის მეცნიერულ მეთოდებს, არ ემორჩილება, მეორეზე წინააღმდეგი და როდესაც ეს ორი გზა ერთმანეთს დაეჯახა, ქართველი ერი რუსეთს ჩამოშორდა. მეცნიერული გზით ჩვენ საკმაო მანძილი გავიარეთ და დღეს ყველა ჩვენგანს უფლება ეძლევა დაინახოს ორივეს ნაყოფი. დიდი რუსეთი გაჰყვა პირველ გზას და იგი ვერ ასცდა სამოქალაქო ომს; საქართველო გაჰყვა მეორე გზას და მან გადაარჩინა არამც თუ თავისი თავი, არამედ ყველა ისინიც, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე სცხოვრობდნენ. და როდესაც საქართველოს დემოკრატიამ გადაგვარჩინა ცუდ გზას, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ვიდექით ამ გზით და ამ გზაზე დავეხოცებით. როდესაც ჩვენი ტანჯვა ასე ბრწყინვალეთ დაგვირგვინდა, ჩვენი ვალია მივესალმოთ ჩვენს სიამაყეს, მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები) ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში უპირველესი როლი ითამაშა ჩვენმა სახალხო გვარდიამ და ნორჩმა დემოკრატიულმა ჯარმა. მივუძღვნათ გულწრფელი მილოცვა ჩვენს შეიარაღებულ ძალას და მათ ხელმძღვანელებს (ტაში.)

დღევანდელ ჩვენს დღესასწაულს დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ ევროპის დიდი სახელმწიფონი; ჩვენ მუდამ მადლიერად მოვიხსენიებთ მათ ერს და მივუძღვნით მადლობა მათ წარმომადგენლებს, რომლებიც დღეს აქ იმყოფებიან (ფეხზე ადგომით ტაშს უკრავენ ევროპის წარმომადგენლთ). დღეს ბრწყინვალე დღესასწაულს დღესასწაულობს ქართველი ერი და აზერბეიჯანი, მაგრამ ამ დღეს შავი აჩრდილით გადაფარებია ის, რომ სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობა დაგვიანდა. ჩვენ შეგვიძლია წინდაწინ მივულოცოთ მათაც (ტაში). სამივე რესპუბლიკა უნდა იყვეს დარწმუნებული, რომ მათი ერთად ყოფნა აუცილებელია და დადგება ის დროც, რომ ამ სამ რესპუბლიკათა კავშირს ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ევროპას, რომ თავისუფლება მარტო ჩვენთვის კი არ გვინდა, არამედ ამიერკავკასიის ერთა ძმობისა და ერთიანობისათვის, დღევანდელი დღე თავდები უნდა იყოს იმისა, რომ ჩვენ ამიერკავკასიის კავშირს მტკიცე საფუძველი ეყრება. გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას და ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მტკიცე კავშირს. (ხანგრძლივი ტაში მუსიკა უკრავს ეროვნულ ჰიმნს)

(დასასრული იქნება)

გვარდიელი აკაკი ბაღდავაძე

14 იანვარს ფილტვების ანთებით სიკვდილმა მოგვტაცა ჩვენი საყვარელი ამხანაგი აკაკი ბაღდავაძე. ყველაზე მეტი სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ აკაკის სახით ჩვენ დავკარგეთ ისეთი ამხანაგი, რომლის წარსული მოღვაწეობა და აწმყო დაუღალავი მუშაობა თვალსაჩინო კვალს აჩნევდა ამხანაგების გულში.

აკაკი არ იყო მუშაობ [illegible] რილა. ის ჩუმათ აწარმოებდა თავდადებულ მუშაობას.

აკაკი ამ ჟამად 26—27 წლისა იყო და წარმოიდგინეთ, როგორი მძლავრი უნდა ყოფილიყო მასში დიადი რწმენა, როცა იგი 1907 წლიდან ს. დ. პარტიაში იმყოფებოდა. ამ დროიდან იგი თავისი ცოდნისა და ძალის მიხედვით დაუზარებლად ემსახურებოდა პარტიას. არას დროს რეაქციის შიშით მას უკან არ დაუხევია ამის თავდები ის არის, რომ ბევრი სიცოცხლის წლები ნესტიან ციხეში გაატარებინა მას არალეგალურ ლიტერატურის ხალხში გავრცელებისთვის წელიწად ნახევარი მეტეხის ციხეში სასჯელის მოხდა გადაუწყვიტეს. გაათავა ეს სასჯელი და მაინც გული არ გასტეხია. გამოვიდა თუ არა, კიდევ გატაცებული ენერგიით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. მას კიდევ მეორეჯერაც მოუხდა სამი თვე ციხეში ჯდომა ისევ არალეგალური ლიტერატურის შენახვისთვის. დიდ რევოლიუციის შემდეგ მიუხედავათ იმისა, რომ ხალხის თავისუფლება ფაქტი იყო, მაინც აკაკის ღრმად სწამდა, რომ მოპოვებულ თავისუფლებას შენარჩუნება სჭირდებოდა. ამ მიზნით მას ვხედავთ ჩვენ სახელოვან სახალხო გვარდიის მებრძოლთა რაზმში. აკაკი ბრძოლის ველზე მუდამ აღფრთოვანებით და ღრმა შეგნებით მიდიოდა. და ასე, დღემდის გვარდიას არ მოშორებია. უკანასკნელად საერთოდ გვარდიამ დაითხოვა, მაგრამ აკაკი მაინც არ ისვენებდა. ის ამხანაგებმა აირჩია საგანგებო ბათალიონის და საინჟინრო გუნდის კულტურულ-განმანათლებელი სექციის წევრათ. მისი ენერგიული მუშაობა აქაც ყურადღებას იქცევდა. მისი ენერგიული მუშაობით ამ დღეებში ბათალიონში წერა-კითხვის შესასწავლათ სკოლა უნდა მოწყობილიყო. მაგრამ ამ დროს, თითქოს სიკვდილი უდარაჯებდაო, მოულოდნელათ მოგვშორდა ძვირფასი ამხანაგი.

მშვიდობით ამხანაგო აკაკი. შენი დაკარგვით ყველა გვარდიელები სევდით აღვრილდნენ და ეს ცრემლები თავდებია იმის, რომ შენ მათ გულში ღრმა სიყვარულის კვალი გაგივლია და შენი ხსოვნაც ჩვენს გულში წაუშლელი იქნება!

ქ. გირგეხლი.

მასწავლებელთა ყრილობა.

6 დღე

თავმჯდომარეობს ალ. მღივანი. დღის წესრიგში დასმულია მასწავლებელთა მომზადების საკითხი. მომხსენებელი პ. ჩარექიშვილი. მასწავლებელი არის სული და გული სკოლისა ამიტომ ჩვენ უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მასწავლებლის მომზადების საქმეს. უნდა მომზადდეს უმაღლესი, უმაღლეს დაწყებითი და საშუალო სასწავლებლების მასწავლებლები. მთელ რესპუბლიკაში ამ ჟამად ითვლება 1500 მდე მასწავლებელი. ეს რიცხვი სრულიად ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებას, მით უმეტეს, რომ ქალთა გიმნაზიების მე-8 კლასი, რომელიც საპედაგოგიო კლასად ითვლებოდა, ეხლა სამ ზოგადი საგნების კლასებად არის აღნიშნული და ამ დანაკლისს ვერ შეავსებენ სამასწავლებლო სემინარიები. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების უნუგეშო მდგომარეობას იმ მხრივ, რომ მასწავლებლებად ამ ჟამად ინიშნება სრულიად შეუფერებელი (ცოდნის მხრივ) პირები და ეს ხდება მის შემდეგ, როცა გააუქმეს და სამაგიერო არაფერი დააარსეს სამასწავლებლო ინსტიტუტი.

რიცხვი ამ სასწავლებლებისა კი თანდათან მატულობს მის შემდეგ განსაკუთრებით, როცა საშუალო სასწავლებლებიდან გამოყვეს საპროგიმნაზიო კლასები ამის შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს შემდეგ უმთავრეს დებულებებს: დაარსდეს სამასწავლებლო სემინარიები: ონში, ოზურგეთში და თელავში, ამას გარდა გადაკეთდეს სემინარიად ბოდბის საეკლესიო სამასწავლებლო სასწავლებელი თფილისში და ქუთაისში საოსტატო სემინარიები. გადაკეთდეს პროგრამები როგორც სემინარიებში, ისე ინსტიტუტებში. სემინარიებში მიეღებიან გამოცდილად უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი, ხოლო ინსტიტუტში კი იმავე სასწავლებლიდან გამოცდებით. საშუალო სასწავლებელი 4 წლის კურსით, ორი საზოგადო და ორი უკანასკნელი კლასები სპეციალური საგნებით. მასწავლებლები სემინარიებში უნდა ინიშნებოდეს უმაღლესი განათლებით. მხოლოდ საშუალოში კი უმაღლეს და მათთან პედაგოგიურ კურსებ დამთავრებულნი. ეს უკანასკნელი კი უნდა იყოს დაარსებული უნივერსიტეტებთან.

ამის შემდეგ მოსმენილ იქნა ვ. პენიშვილის მოხსენება ამავე თემაზე. ის

ივყავს მოკლე ვადიან კურსების დაარსება, ვინაიდან ამ ჟამად სამინისტროს საშუალება არ აქვს დაარსოს ამდენი სემინარია და ინსტიტუტები. მასწავლებლების დანიშვნის საქმეში ის იცავს შემდეგ დებულებას: პირველად მასწავლებელი ინიშნება პრაქტიკანტად, შემდეგ ერთი წლის გასვლისა საჭირო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ღებულობს ერთგვარ წარჩინებას და ასე, თანდათან თანდათანობითია აგრეთვე ჯამაგირის მომატებაც. სამსახურის მიხედვით ჯამაგირი ემატება პროცენტობით.

მოხსენების მოსმენის შემდეგ წინადადება შემოდის მათი რეზოლიუციების გამოსატანად არჩეულ იქნას კომისია. მეორენი მოითხოვენ მისი საჭიროების გადაცემას. ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა მეორე წინადადება. ამ დროს დარბაზში შემოდის განათლების მინისტრი ნ. რამიშვილი, რომელსაც ყრილობა ტაშით მიეგებება. მინისტრი მოხსენებას აკეთებს თანამედროვე მომენტზე. საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების აქტი კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მასთან არ ვიქონიოთ ესა თუ ის დამოკიდებულება. ჩვენი რუსეთიდან დაშორება არ მომხდარა შემთხვევით, არამედ ამას ჰქონდა ისტორიული საფუძველი. ჩვენ სახეში გვყავს ახალი (ბოლშევიკური) რუსეთი, რომელსაც დავშორდით გზებში. 26 მაისის აქტი, გარდა პოლიტიკურისა, არის ფსიხოლოგიურიც. საქართველო გამოეყო რუსეთს არა 10 იანვარს, არამედ 26 მაისს 1918 წ მხოლოდ 10 იანვარს დაადასტურეს ევროპის სახელმწიფოებმა. საბჭოთა მთავრობა, რომელიც იმარჯვებს ბრძოლის ველზე და მარცხდება პოლიტიკურად, ხასიათდება ტერორისტული მეთოდით. ეს სენი თან დაყოლილია თითქმის ყველა რევოლიუციებისა. აგრეთვე სახ ს იყო საფრანგეთის კომუნარები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ მათ სხვა გამოსავალი არ ქონდათ და რუსეთში კი ის ბოლშევიკებმა შემოიღეს სისტემით. შექმნეს სპეციალური ზავი და გამოიგონეს სამოქალაქო ტერორი. მათი მიზანი იყო სოც. რევოლუციის დაწყება ჩამორჩენილ მოსკოვიდან, მაგრამ ობიექტიური პირობების გამო არ განხორციელდა უმცირესობის დიქტატურით სოციალური წყობილების დაარსება. იმით არ იწამეს ენგელსის აზრი: „ისტორიული ფორმა პროლეტარიატის დიქტატურისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა". პარიზის კომუნარებთან მათ არაფერი საერთო არ აქვთ, ვინაიდან კომუნარები ემყარებოდნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას. სოციალური წყობილების დამყარების წარმომშობი უმთავრესი მიზეზი არის დიდძალი საქონლის დამზადება, რაიც შთანთქა მსოფლიო ომმა. გადატრიალების დროს შესაძლებელია მხოლოდ „მუნტი" და „პოგრომები". ამ ჟამად ავსტრია და აგრეთვე სხვა ევროპის სახელმწიფოები ზრუნავენ ხალხის სიმშილისაგან გადარჩენაზე. ბოლშევიკებმა, როდესაც ვერ შესძლეს რუსეთში ახალი წყობილების დამყარება, წავიდნენ კომპრომისებისაკენ: უკვე შერიგდებიან საშუალო გლეხებს, რომლებსაც წინეთ ისინი ექსპლოატატორებს ეძახდნენ. კავშირს კრავენ აგრეთვე წვრილ ერებთანაც. ჩვენ უნდა გავმხდარიყავით ახალი ექსპერიმენტების მსხვერპლი და არ უნდა მოგვეძებნა ახალი გზა და ეს ჩვენი ახალი გზა ამ ჟამად არის გარდაუვალი (ტაში). გზა დემოკრატიული. ამ გზით ჩვენ ბევრი შევძელით. აქ მინისტრი დაწვრილებით შეეხო თვითმართველობების, ჯარის და გვარდიის მოვალეობას. რაც შეეხება ჩვენი მეზობელ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებას, აცხადებს მინისტრი, ჩვენ ვერ ვმოქმედებდით ისე, ვითომ მეზობლის აზრები შეცვლიდეს ჩვენ დიქტავს. პირიქით, ჩვენ მოხარული ვიქნებით, როდესაც ჩვენ მეზობელ სახელმწიფოს სომხეთს აგრეთვე ბედნიერება მიენიჭება. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის წინადადებას დენიკინის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შეკვრისას, ეს ჩვენთვის მიუღებელია, რადგან ჩვენი სახელმწიფო აღიარებულია ნეიტრალურ სახელმწიფოთ. ბოლშევიკებს, როდესაც იმედი არ გაუმართლდათ დასავლეთში, პირი იბრუნეს აღმოსავლეთისაკენ. სოციალური გარდაქმნას ელოდებიან ავღანისტანიდან, ბელუჯისტან, ხივა და ბუხარიდან. მოსკოვისა და არზრუმის მთავრობებს შორის უკვე არსებობს ამ ჟამად შეთანხმება. საქართველო კი, როგორც ამიერ კავკასიის გასაღები, ესაჭიროებათ გზათ აზიისაკენ.

ამ მიზნის მიღწევას ისინი ლამობენ აზერბეიჯანის საშუალებით. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექნება ბოლშევიკებისათვის, რომ ანტანტამ გამართოს მათთან მოლაპარაკება. ჩვენ ქვეყანას ბევრჯელ გადეტანია უფრო კრიტიკული მომენტები და ამ ჟამად კი ჩვენის ღრმა რწმენით ყველა მიმართულებით, გარდა ერთის გამოკლებისა, ხელ-ჩაკიდებული წავა იმ აღთქმის ქვეყნისაკენ, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება. (ხანგრძლივი ტაში). მოხსენების შესახებ ყრილობამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

ნოდე.

ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან

თფილისის ტელეფონის ქსელის და ქალაქთა შორის ტელეფონის მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ, განიხილა რა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ცენტრალურ გამგეობის გამოსვლა 3 იანვრის კრებაზე და საერთოდ მიიღო რა მხედველობაში მისი 6 თვის მოღვაწეობა, აცხადებს:

1) თფილისის ტელეფონის ქსელის და ქალაქთა შორის ტელეფონის მოსამსახურეებს სურთ იმუშაონ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებათა მოსამსახურეებთან თანხმობით და ითვლებოდენ მათ მთლიან კავშირში.

2) მათ სწამთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას ხელმძღვანელების მიერ არჩეული გზა სწორია, რომელსაც მივყავართ დემოკრატიზმიდან სოციალიზმამდე. ჩვენ მზათ ვართ, ყოველივე საშუალებებით ხელი შევუწყოთ არსებულ წყობილების გამაგრებას, დავიცვათ რევოლუციის მონაპოვარნი და შევქმნათ ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის ისეთი კავშირი, რომელიც იზიარებდეს საქართველოს პროლეტარიატის მიერ აღებულ ხაზს.

3) ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალური კავშირის გამგეობა იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს მოსამსახურეთა შეკავშირებას, მათ კულტურულ, ეკონომიურ და უფლებრივ ინტერესების დაცვას, თავის ანტი-დემოკრატიული პოლიტიკით ხელს უწყობს მათ გათიშვას და აღრმავებს მოსამსახურეთა შორის პოლიტიკურ განხეთქილებას.

4) აწარმოებს რა ბრძოლას დემოკრატიის მიერ არჩეულ ორგანოების წინააღმდეგ, ცენტრალური გამგეობა უტეხავს მოსამსახურეთა თვალში ავტორიტეტს ამ ორგანოებს, არ იზიარებს რა გამგეობა პროფესიონალურ ორგანიზაციების თვალსაზრისს, გამგეობა არ ეპყრობა მათთან კავშირს და ამ გვარათ, ხელს უწყობს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გამოყოფას რესპუბლიკის პროლეტარიატის ოჯახიდან და ამით შეაქვს გათიშვა პროფესიონალურ მოძრაობაში.

5) გამგეობა ადმინისტრაციის წინააღმდეგ ეწევა ინტრიგებს და მით ხელს უშლის უწყებების მუშაობის ნორმალურ მსვლელობას.

6) ხელმძღვანელობს რა თავისი ფარული პოლიტიკური ზრახვებით, ცენტრალური გამგეობა ლახავს თფილისის რაიონულ გამგეობის უფლებებს, როგორც მაგალითად უკანასკნელთ წაართვა უფლება რაიონის არჩევნებისათვის ეხელმძღვანელათ.

7) ცენტრალურმა გამგეობამ მხოლოდ იმიტომ, რომ თფილისის ტელეფონის ქსელის და ქალაქთა შორის ტელეფონის მოსამსახურეთ დროზე შეიგნეს გამგეობის დამღუპველი პოლიტიკა, გამოუცხადეს მას უნდობლობა და მოითხოვეს ყრილობის მოწვევა. გამგეობამ ამის გამო გამორიცხა კავშირიდან მთელი მეოთხედი ფოსტა-ტელეგრაფის მსახურთა, რომელნიც მსახურებენ მთელ საქართველოს.

8) გამგეობა თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა მხოლოთ თავის პარტიულ თვალსაზრისით, მან ვერ შესძლო ექნა თავის გამგებლობაში მოსამსახურეთა კულტურულ - ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება.

ყველა ზემო აღნიშნულ მიზეზების გამო თფილისის ტელეფონის ქსელის და ქალაქთა შორის ტელეფონის მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს:

1) წინანდელ ჩვენ გადაწყვეტილებას არ გადაუხვიოთ და ახალ გამგეობის ამორჩევამდე, რომელიც უნდა იყოს ჩვენის ნდობით აღჭურვილი, ახლანდელ გამგეობასთან არ დავიჭიროთ არავითარი კავშირი და არც მის სასარგებლოთ პროცენტები გადავიხადოთ.

2) გამოეცხადოს ცენტრალურ გამგეობას პროტესტი და აღშფოთება იმ ანტი დემოკრატიულ გამოსვლების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა 3 იანვარს, სადაც ტელეფონის მოსამსახურეთ ხმის უფლების ნება არ მისცეს.

3) გამოეცხადოს ნდობა რაიონის გამგეობას და ვცნოთ იგი ახალ საარჩევნო რაიონის ხელმძღვანელათ.

4) მოვუწოდოთ თფილისის რაიონის მოსამსახურეებს დაიცვან თავიანთი უფლებები და მოითხოვონ, რომ ახალი არჩევნები მოხდეს თფილისის რაიონის გამგეობის მიერ.

5) ახლანდელი ცენტრალური კავშირის გამგეობა ვერ შესძლებს შეკავშირებას ფოსტა-ტელეგრაფის უწყებათა ყველა მოსამსახურეების და ვერ შესძლებს შეუფარდოს თავის მოქმედება საქართველოს დემოკრატიის აღმშენებლობითი მუშაობას. ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოსამსახურენი წარმოადგენენ ერთ მთლიან ერთეულს და პროფესიონალური მოძრაობის ინტერესების თვალსაზრისით ხელმძღვანელობს საზოგადო კრება მოსამსახურეების და კატეგორიულათ მოითხოვს მოწვეულ იქნას ყრილობა ან [illegible] შემთხვევაში კავშირიდან, განდევნილ იქნენ ხელმძღვანელნი [illegible].

ამ რეზოლიუციას მიუერთდნენ ტელეგრაფისტები, [illegible] მთავარი სახელოსნო და სამმართველო.

კულტურული მუშაობა სახალხო გვარდიაში

სახალხო გვარდიაში დემოკრატიის ცოცხალი და შეგნებული ძალები იყრის თავს. ორ წელზე მეტია, რაც სახალხო გვარდია არსებობს და მან თავისი ენერგია და ყურადღება ამ ხნის განმავლობაში მიაპყრო იმ ძირითად საფრთხეს, რომელიც ათხრებით იმუქრებოდა ჩვენს ხალხს. ეს იყო შინაური და გარეშე მტრები დემოკრატიული წყობილებისა. გამუდმებულ ბრძოლის პროცესში გვარდია ძლიერდებოდა, როგორც სამხედრო ორგანიზაცია და ასეც უნდა მომხდარიყო. მას არ ეცალა დასასვენებლათ, რომ შესდგომოდა კულტურულ მუშაობას და ცხოვრების სწრაფ სრბოლას არ ჩამორჩენოდა. თუმცა კულტურული ძალებით გვარდია არაა ღარიბი, მაგრამ დღემდის მან მაინც ვერ დააყენა შესაფერ სიმაღლეზე კულტურული მუშაობა. ამას თავისი მიზეზები აქვს. თუ მომავალშიაც ასე გაგრძელდა, გვარდია მალე დაჰკარგავს იმ დიდებას და სახელს, რომელიც მან მოიპოვა. სამხედრო ორგანიზაციის და წვრთნის შექმნის გვერდით აუცილებელი საჭიროა, რომ გვარდიელები არ მოსწყდნენ საზოგადოების აზროვნებას და იმუშაონ კულტურულ ნიადაგზე. ყოველ გვარდიელს, რომელსაც ხიშტი უჭირავს ხელში, უნდა კარგათ ესმოდეს თუ ვის წინააღმდეგ ატრიალებს მას. ამ გათვითცნობიერებისათვის საჭიროა კულტურული მუშაობის გაშლება გვარდიის ყველა ნაწილებში, განსაკუთრებით მის მუდმივ ნაწილებში, სადაც გვარდიელები უმეტეს დროს ყაზარმებში ატარებენ. ამ ჟამათ მხოლოდ ერთ ნაწილშია დაარსებული კულტურულ-განმანათლებელი სექცია. საგანგებო ბატალიონმა და საინჟინერო გუნდმა პირველად შექმნა ასეთი სექცია, რომელიც ორი თვეა რაც მუშაობს და მოკლე ხნის განმავლობაში სექცია შეძლების დაგვარად აკეთებს იმას, რის გაკეთებაც შეიძლება. ეს პირველი მაგალითია. სასურველია სხვა ნაწილებმაც მიბაძონ ამ მაგალითს, აირჩიონ თავიანთი სექციები, რომლისგანაც შექმნება ერთი ცენტრი და ეს ცენტრი ძლიერ შეამსუბუქებს მთავარ შტაბთან ახლად დაარსებულ კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების მუშაობას. გარედან შველას და გამედნიერებას არც ერთი გვარდიელი არ უნდა ელოდეს. ის თვითონ უნდა დაინტერესდეს ამ საქმით და თავისი მძლავრი ხელით გამოსჭრას უკეთესი მომავალი. მან უნდა აჩვენოს მთელ დემოკრატიას კულტურული მუშაობის მაგალითი, როგორც დღემდე აჩვენებდა მის თავისუფლების დაცვას და ბრძოლის მაგალითებს.

პრომეთე.

ნება მოგვეცით ღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ამხ. მოსე [illegible]ძეს, რომელმაც 100 მანეთი შესწირა სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონის და საინჟინერო გუნდის კულტურულ-განმანათლებელ სექციას სამკითხველოს მოსაწყობად.

მონდობილობით დ. ორაგველიძე.

ერობათა ცხოვრება

ერობათა კავშირში.

ერობათა კავშირის კომიტეტი თებერვლის შუა რიცხვებში იწვევს ტექნიკურ ძალთა ყრილობას. განსახილველია საკითხები: 1) საერობო ტექნიკის მდგომარეობა, 2) საერობო ტექნიკის საკითხები, 3) საერობო ტექნიკის კერძო მხარეები, მათი ორგანიზაცია და უახლოესი საკითხები, ა) გზების საქმე, ბ) საწყლო საქმე, გ) საერობო აღმშენებლობა, გამშვენიერება სოფლებისა და ქალაქებისა. დ) მიმოსვლის საშუალებანი (ტრანსპორტი, ტელეფონი, ფოსტა), ე) წარმოებანი, ვ) ფაბრიკისა და ქარხნის ზედამხედველობა, ზ) შინა მრეწველობა, 3) პროფესიონალურ ტექნიკური განათლება, 4) ფინანსიური მხარეები საერობო ტექნიკის მოქმედებისათვის, 5) პროფესიონალური საჭიროებანი საერობო ტექნიკის პიროვნებისათვის.

— ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ერობათა კავშირის წინაშე უკანასკნელმა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რათა ტელეფონის ქსელი მაზრაში დარჩეს ერობის განკარგულებაში და გამგებლობაში.

— 25 იანვარს დილის 10 საათზე ერობათა კავშირის კომიტეტის ბინაზე შესდგება კავშირის კომიტეტის სხდომა. ვინაიდან სხდომაზე განხილულ იქნება ფრიად საყურადღებო საკითხები, რომელსაც ერობის ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ კავშირის კომიტეტი იწვევს სხდომაზე დასასწრებლად რესპუბლიკის ყველა ერობების წარმომადგენლებს. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მთავრობის მიერ ცენტრალური სასურსათო საბჭოს გადმოცემასთან დაკავშირებული კითხვები, საბჭოს რეორგანიზაცია და მომარაგებისა და სხვა განყოფილებების დაარსება; 2) საერობო ბანკის დებულების განხილვა და დამტკიცება; 3) სოფლის ერობის დებულების გარჩევა; 4) კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოს არჩევნები, 5) კითხვები, რომელთა განხილვას სხდომაზე კომიტეტი საჭიროდ დაინახავს.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 25 დეკემბერს თფილისის საქონლის სადგურში შესდგა ამავე სადგურის ს. დემ. მუშათა პარტიის წევრთა კრება. დღის წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: 1) მოხსენება მომენტზე, 2) მოხსენება კოლექტივიდან, 3) ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. კოლექტივიდან მოხსენებით კრება კმაყოფილი დარჩა; მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. გრ. ცინცაძე, რომელიც აცნობს პარტიულ კრებას ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას და მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს. კამათში მონაწილეობა მიიღეს 15 ორატორმა და თითქმის ყველანი იმ აზრს გამოსთქვამდენ, რომ თუ დროზე არ მოგვიშველა ჩვენი მთავრობა სურსათ-სანოვაგის მიწოდებით, ჯამაგირების მომატებით, მოსალოდნელია ჩვენი სრულიად ფიზიკური განადგურება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა კრებამ მოხსენება სურსათ-სანოვაგის მიწოდების და ჯამაგირების მომატების შესახებ, დაადგინა სასწრაფო ზომები იქნას მიღებული ვისგანაც ჯერ არს, რათა სასურსათო საქმე და მისი მოწესრიგება ჩაეცეს საიმედო პირებს, და არა ისეთებს, რომლებსაც თავიანთი გამდიდრება დაუსახავთ მიზნათ, რომლის მაგალითები კრებაზე მრავალი აღმოჩნდა, გარდა ამისა დაუყონებლივ მიიღონ ზომები, რომ რკინის გზის დაბალ მოსამსახურეებს მოუმატონ ჯამაგირები ბაზარზე არსებულ ფასების მიხედვით და არა რაღაც უმნიშვნელო პროცენტები.

ს. ქრისტინეშვილი.

ონი. 23 დეკემბერს, მოწვეული იყო ქ. ონში, რაჭის სამაზრო პარტიული ყრილობა. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება რაჭა-ლეჩხუმის კონფერენციაზე გაგზავნილ დელეგატის, პარტიული მუშაობა, სათემო არჩევნები და ჩვენი ტაქტიკა და სამაზრო კომიტეტის არჩევა. მოხსენებას აკეთებს რაჭა-ლეჩხუმის კონფერენციიდან დაბრუნებული დელეგატი ამხ. სპ. ქელიძე, რომელიც ვრცლათ ეხება დღევანდელ მომენტს—საქართველოს შინაურ და გარეშე მდგომარეობას. შემდეგი საკითხია პარტიული მუშაობა. ამის შესახებ აკეთებს მოხსენებას ამხ. მ. გობეჯიშვილი, თუ როგორ უნდა მოეწყოს პარტიული ორგანიზაციები ყველა სოფლებში და თემებში გამოიწეროს ჟურნალ-გაზეთები და წიგნაკები, მოეწყოს ლექციების კითხვა, დაარსდეს პარტიული კლუბი ქ. ონში და ჩააბას გვარდიელები პარტიულ მუშაობაში, იყოლიოს სამაზრო კომიტეტმა ორი პროპაგანდისტი მთელი მაზრისათვის, რომლითაც დახმარება უნდა გაუწიოს მაზრაში არსებულ ორგანიზაციებს და სადაც ეს არ არის, მიიღონ ზომები, რომ აუცილებლათ იქნეს დაარსებული. შემდეგი საკითხია სათემო არჩევნები და ჩვენი ტაქტიკა, რომლის შესახებაც დადგენილ იქნა; ყველა სათემო არჩევნებში გამოვიდეს ცალკე ჩვენი ფრაქცია, სადაც კი შესაძლებელი იქნება და სადაც არა მიენდოს ადგილობრივ ამხანაგებს, რომ როგორც სასურველათ სცნობენ ისე, გამოვიდნენ და აგრეთვე შეიტანონ საარჩევნო კანდიდატების სიებში თანამგრძნობი ე. ი. უპარტიონი, რომელნიც აქამდის არ მუშაობდენ ჩვენ პარტიაში.

სამაზრო კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: სპ. ქელიძე კომიტეტის თავმჯდომარეთ, მის ამხანაგათ ზ. ბიბილაშვილი, წევრებათ: გიორგი ლობჯანიძე, ავ. გოცირიძე, ბაბაკო ქელიძე და ლ. დავითულიანი. რომელთაც უკვე განაწილეს საქმე, თუ როგორ მოეწყოს მთელ მაზრაში პარტიული მუშაობა და ვინ რა უნდა აკეთოს. ყველა ზემო ჩამოთვლილი კითხვები სასურველად სცნო ყრილობამ და მიანდო ახლად არჩეულ კომიტეტს ცხოვრებაში გასატარებლათ და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

ხანდრო ჯახტიველი.

პროვინცია

წირი (დუშეთის მაზრა). სოფელ წირში თავს დაესხნენ შეიარაღებული ბოროტ გამზრახველები ქიცილა ზოზარაშვილს და გაიტაცეს მთელი ოჯახის ავეჯეულობა. ბოროტ გამზრახველებს გამოუდგა სოფელ ლებურის კომისარი მიხეილ მარგიშვილი და შეიპყრო ხუთივე. გატაცებული საქონელი ყველა აღმოაჩინა.

მგზავრი დიმიტრი მუზაშვილი.

მიქელ გაბრიელი. განსვენებულ ივანე ბიბიას ძე მახარაძის ხსოვნის აღსანიშნავათ დაკრძალვის დღეს შემოწირულ მიქელ-გაბრიელის თემის სოფ. სამხთოს უფასო სამკითხველოს: განსვენებულის შვილებმა 300 მან., იასონ ჯაყრაშვილმა 200 მან. ას-ასი მანეთი: თეოფილე ხომერიკმა, იაგორ გოგიტიშვილმა, ვანო გოგიტიშვილმა, ფილიპე ბაბილოძემ, იოსებ ნადირაძემ, ლუკა ბაქანიძემ, ვასილ გოგიტიშვილმა, კალენიკე პატარავამ, იაგორ ცაჰაძემ, კოწია კვაჭანტირაძემ, თეოფილე მასიკოს ძე ბაქანიძემ და ბართლომე ჯორბენაძემ. სულ შეგროვდა 1700 მან. ფულები დანიშნულებისამებრ გადაეცა ბიბლიოთეკას. ამავე სოფლის მცხოვრებმა აწ გარდაცვლილის ლებულის ივანე იესეს ძე პატარავას ხსოვნის აღსანიშნავათ შემოსწირეს მიქელ-გაბრიელში არსებულ საგზაო ფონდის გასაძლიერებლად: განსვენებულის შვილებმა 300 მან ისიდორე ხუციძემ 300 მან., ილიკო ჯაშიამ 300 მან., იოსებ რუსიეშვილმა 300 მ, კოწია პატარავამ 200 მან., იასონ ქავჟარაძემ 150 მან, ას ასი მანეთი: ქიონისინე კალანდარიშვილისამ, სერგია რუსიეშვილმა, ალექსი ჩიხლაძემ, იასონ გუჯაბიძემ, ასლან გაგუამ, გიორგი თოიძემ, ალექსანდრე ტყეშელაშვილმა, ჯაბა ხუჭუამ და კალინიკე კა[illegible]ძემ. სულ შეგროვდა 2450 მან. სიამოვნებით აღვნიშნავ რა ამ მისაბაძ მაგალითს, ღრმეს მადლობას ვსწირავ შემომწირველებს.

მონდობილობით იასონ წუწუნავა.

დასახიჩრებულთა კავშირში

რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა გამგეობა სთხოვს ქვემორე ჩამოთვლილ კავშირის წევრებს გამოცხადდენ კავშირში, მთავრობის მიერ, მათზე გამოწერილ ერთდროულ დახმარების მისაღებად:

აბულაძე იასონ ალექსის ძე, ბუაჩიძე იასონ ბესარიონის ძე, ბალიშვილი დომენტი სტეფანეს ძე, ბუჩუკაძე კონსტანტინეს ძე, ბარათაშვილი ალექსი გიორგის ძე, ვარტუმოვი ვართან სტეფანეს ძე, გურიელიძე ნოე სტეფანეს ძე, გოგიბერიძე ვლადიმერ კარპოს ძე, დოლიძე ივანე ყარამანის ძე, დუმბაძე კოსტა კონსტანტინეს ძე, დონჯაშვილი ვასილი დომენტის ძე, იანოვსკი ალექსი ანდრიას ძე, იოსელიანი ნიკო ონისიმეს ძე, ინდოშვილი აბრამ ივანეს ძე, კილაპტრიშვილი ივანე სოლომონის ძე, კაპანაძე ვარლამ გაბრიელის ძე, ყანჩელი ივანე სოლომონის ძე, კილოსანიძე პავლე სოლომონის ძე, ლომიძე ივანე ალხაზის ძე, მამულაშვილი გრიგორი ზაქარიას ძე, მეგაძე დავით ფირანზის ძე, მარტიროსოვი გევორქ წყალობის ძე, მიქავა ვარლამ ალექსის ძე, მეღრაძე დავით სერაფიონის ძე, მეპაროპოვი ალექსი მიხეილის ძე, ოჩიგავაშვილი ნიკო სოლომონის ძე, პოლოსოვი ნიკო ბახვის ძე, სიმონიშვილი იოსებ რაჟდენის ძე, სიმონიანცი არტემ ალექსის ძე, სვანაძე ივანე სიმონის ძე, თედორაძე გრიგორ ვასილის ძე, ფარაულიძე თედო ფილიპეს ძე, ფაზუაშვილი გევორგ ივანეს ძე, ფუტკრიშვილი ვასილი ივანეს ძე, ხარაშვილი მიხეილ იოსების ძე, ხმალაძე დავით გიორგის ძე, ქუმსიერიძე ნიკო ილიაის ძე, შაპოშნიკოვი ალექსანდრე ივანეს ძე, ძაგნიძე ანტონ იასონის ძე, ძნელაძე მარგარი ვარლამის ძე, ჯაჯანოვი დიმიტრი, გიორგ ძე ილარიონ სიმონის ძე, კეპჯაპოვი სტეფანე იოსების ძე, ნიჟაბაძე გიორგი მაქსიმეს ძე, ჭლენტი ვალერიან კონსტანტინეს ძე, ოტიაშვილი გაბრიელ ალექსის ძე, სუხიაშვილი მიხეილ ვასილის ძე, ცაპ.ია ფილიპე სტანისლავის ძე, ტატიევი ივანე სიმონის ძე, ბეგაძე პეტრე იოსების ძე, თოხაძე ივანე აუქსენტის ძე, ხერხეულიძე ესტატე გიორგის ძე, გაბრიელაშვილი გიორგი ილარიონის ძე.

კავშირის გამგეობა.

წერ. რედაქციის მიმართ

„სტუდენტთა დღის" მომწყობი ცენტრალური კომიტეტი გულითად მადლობას უძღვნის აკაკი სვანიშვილს, რომელმაც სტუდენტთა დღის მომწყობ კომიტეტს შემოსწირა [illegible].

კომიტეტის თავმჯდომარე შალვა კვანაძე.

მდივანი დავ. წერეთელი.

განცხადებანი

მებალე პოლონელი

სწავლა გათავებული აქვს საზღვარ-გარეთ, 4 წლის პრაქტიკით ყოველგვარ დარგის მებაღეობაში.

ეძებს ადგილს

1-ლი რაიონი, სვიატოპოლკ მირსკის ქ., № 12, ბინა 1. (189—1—1)

ექიმი

ლ. ცურიაშვილი

იღებს შინაგან, საბებიო და ქალთა ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩ., № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო სამკურნალო.

ექიმ ნავასარდიანისა

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დაფუძნ. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606" და „914" 11—12 საათ

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურგ. და ვენ. ავად. (სიფილისი).
გ. მ. ამახაროვი —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშო ავად. [illegible]
მ. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად (სიფილ.) ხირურგ.
კარუკეხ-ბებურიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
ე. ა. ხორენკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).
ტერ გრიგორიან—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღარიბებს დარიგება უფასოდ.
სააგადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

ექიმი ა. დ. კეკელის

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი ვ. მ. მანარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87. (114—თ.)

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 18 (თ. 3065).

დოქტორი მედიცინის

ა. ა. მონსე

სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით ავათმყოფობანი კუნთებისა, სიდამპლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—2)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი ბ. ე. ზაქრაძე სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი ლ. ა. ხარაძე. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებების ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, [illegible] ახლოს.